გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№61 (817) 3 – 4 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბიძინა ივანიშვილი: „სექტემბერში პენსია 150 ლარი გახდება"

რა ხდება პატიმარ მერაბიშვილის საკანში

„ვანო მერაბიშვილის საკანი სტანდარტებს შეესაბამება. საკმაოდ ნორმალური კვების რაციონი აქვს და ჰიგიენაც დაცულია. ერთგვარი სამუშაო პირობებიც აქვს შექმნილი — საკანში მერხისმაგვარი მაგიდა და მაგარი საწოლი დგას. ფუფუნების საგნად მხოლოდ რადიომიმღები შეგვიძლია ჩავთვალოთ"

„ვანო შეცდომებს აანალიზებს, ბევრს ფიქრობს და აწუხებს, რომ საპატიმროში მოხვდა!"

„მიშას ეკა ხერხეულიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი ეწინინებოდნენ, დაარბიე 26 მაისის აქცია, თორემ თავს მოვიკლავთო!"

ნუგზარ წიკლაურისგან „ქაჯანაღ" მონათლული კარლო კოპალიანი ნაცების „მეცაშე-ლირიჟორ" ელდარ კვერნაძეს მოქრთამვაში ადანაშაულებს

მხოლოდ 40 თეთრი

სამართალი

სიახლეები მართლმსაჯულებაში

გვ. 10

მზრუნველობამოკლებული მოზარდები კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს დაესწრნენ

CBS GROUP
CAUCASUS BUSINESS SOLUTION

„სიბიეს ჯგუფის" საქველმოქმედო აქცია

გვ. 9

„უნიქარდით" ქულების დაგროვებას „ვისოლის" გაზგასამართ სადგურებზეც შეძლებთ

გვ. 7

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანები დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის 1000-ლარიანი პენსიის დანიშვნას ითხოვენ

გვ. 8

დიტო გელოვანი

ნაგავსაყრელის ანატომია

გვ. 2

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

ნაგავსაყრელის ანატომია

დიტო გელოვანი

ვერაგობაც იმათი ამაშია. სულს კი დავიწყებული აქვს, ვინ არის და რისა და ვისა, მაგრამ ეშმაკეულებს — არასოდეს. იმათ წინა აქვთ ყოველი სულის სიღრმეები სავსე წუნწუხითა და შხამებითა და აგრეთვე გრძელი ნაწლავებითა, ჩასწვდებიან მის ჭუჭყსა და სკორეში დაკაპიწებულ უხილავ მკლავითა და ამოჰგლეჯენ ახალ-ახალ რამეებს და მიჰყრიან ნაკვერჩხლებზედ. ეს ამოგლეჯა იმნაირის ტკივილიანობით იქნება, რომ წინა სატანჯველნი იქ მოხვედრილ სულს იოლ რამედ მოეჩვენება, ვინაიდან ვერაგობა ჯოჯოხეთისა იქა ძევს, რომ რაც რომ ბინძურ კასრში ჩამალულია და შეზრდილა იმის კედლებსა და ერთიმეორეს, ბელზებელის ამხანაგებსა თვალწინა აქვთ და იმათი სიბინძურე კი მათთვის ნუგბარია და შიგ ხელის ჩაყოფას არად დაგიდევენ...

(აკა მორჩილაძე, „აიდ ინ თიფლის“)

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ანეკდოტი გამახსენდა — მავანი ჯოჯოხეთში მოხვდა, პოლიტიკოსები ქვაბთან მიიყვანეს. ჩახედა და რას ხედავს: ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი და სხვები და სხვები, კუპრში მეგობრულად ბანაობენ, ჰიტლერი კი არსად ჩანს. ის იყო, უნდა ეკითხა, ეგ სად არისო, რომ თვალი მოკრა — ბატონი შიკლგრუბერი იქვე, შორიახლოს ჩამომჯდარა, რაღაცას კითხულობს და რაღაცას წერს. რა ხდებაო? — იკითხა მავანმა. ეშმაკებმა აუხსნეს, ეგ ახლა ზის და მარქსის „კაპიტალს“ ივრითზე თარგმნისო.

ჯოჯოხეთში აუცილებლად იქნება ფსიქიატრიული საავადმყოფო, ვინძლო — რამდენიმეც და იქ ისეთები მოხვდებიან, ვისაც აქ არ ეღირსა მანდ ყოფნის კუთვნილი „ბედნიერება“. ფსიქიატრიით კი ამ ნიუსის წაკითხვის შემდეგ დავინტერესდი — „საკონსტიტუციო სასამართლომ ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის სადავო ნორმების განხილვა დაიწყო“.

ორ მოქალაქეს, პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელი შეუტანიათ. ეს ადამიანები მოითხოვენ, რომ ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებს „უნდა ჰქონდეთ საშუალება, დადონ წვრილმანი გარიგება, მაგალითად, პური იყიდონ და სხვა მარტივი ქმედებები განახორციელონ. მეორე არის ის, რომ მათ ქორწინების უფლება არა აქვთ და მოითხოვენ, ჰქონდეთ ეს უფლება, რადგან მეურვე, ვინც მათ ენიშნებათ, ვერ გამოხატავს თავის ნებას ქორწინების შემთხვევაში მათ მაგივრად, ამიტომ მათ სრულიად ეკრძალებათ ქორწინება“.

რა მიკვირს, იცით? თუ ფსიქიატრიული კლინიკის ერთ კონკრეტულ, პოტენციურ ბინადარს უფლება აქვს, იქონიოს ჰარემი და გაყიდოს ქვეყანა, რატომ არ შეუძლია, კლინიკაში უკვე მოთავსებულმა მოქალაქემ მოიყვანოს ცოლი და იყიდოს პური?! ეს არის უსამართლობა, მით უმეტეს, რომ ყოველივე პოტენციური, ოდესღაც კინეტიკური ხდება და ისიც ხომ არის ნათქვამი, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო... ჰოდა, პირადად მე, მხარს ვუჭერ ბატონების ინიციატივას და ახლავე დავიწყოთ მზადება პოსტსააკაშვილისეული ეპოქისთვის.

და თუ აქ არ მოხდა ის, რომ ის არ მოხვდა იქ, ამ შემთხვევისთვის ხდება ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ — ერთი კარგი ფსიქიატრიული იქაც იქნება გახსნილი, მე და თქვენ მაგას ვერ ვნახავთ, მაგრამ წარმოსახვას წინ ვერაფერი დაუდგება და უკვე ვხედავ კიდეც ჯოჯოხეთის ფსიქიატრიულში, კაქტუსზე ჩამომჯდარ მოყრანტალე წყვილს, მიხეილ სააკაშვილსა და ვალერია ნოვოდვორსკაიას. ნოვოდვორსკაია ისე ვთქვი, თორემ თეა თუთბერიძესა და ქეთა გაბიანს, შესაძლოა, სხვა მოსაზრებაც ჰქონდეთ და მინდა გითხრათ, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ამის გამოხატვა, ვერ დაუშლი, ბოლოს და ბოლო ესესი (სამოქალაქო სექტორი) არ მოგვცემს ამის უფლებას.

გასული კვირის მთავარი თემა, უდავოდ, დიცის ამბები იყო.

განა ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ ერთი რამის ჭამას ღორი არასოდეს მოიშლის? უბრალოდ, საინტერესო ისაა, რომ აღნიშნული ღორი მადაზე სწორედ მაშინ მოდის, როცა აქაურ ვირთხებს აწყობთ. ვინ იცის, ეს უკვე მერამდენედ ხდება და ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოხდება. რას იზამ — ქართული დემოკრატიის პრიორიტეტი ხომ ნაცმოძრაობის გადარჩენაა, ხოლო ევროპა და ევროპარლამენტი ხომ ქართული დემოკრატიის გადასარჩენად იბრძვიან!

„შეინიშნება გარკვეული მოძრაობები იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო აკონტროლებს. ეს საკითხი სერიოზულ კითხვებს ბადებს და სწორედ ამის გამო ვართ ჩვენ აქ, რათა ვისაუბროთ სავარაუდო რეაქციაზე”, – აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა.

აზრზე ხარ, სად შეამჩნია?!

როგორც გუშინ პაატა ზაქარეიშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ჟან კლოდ მინიონმა განაცხადა, პაატა ზაქარეიშვილამდე მან შეხვედრა გამართა საქართველოს პრეზიდენტთან და არც პრეზიდენტთან და არც პაატა ზაქარეიშვილთან ეს საკითხი არ განუხილავს. „ეს ინფორმაცია არ მქონდა და თქვენგან გავიგე“, — მიმართა მინიონმა ჟურნალისტებს.

აი, რას ნიშნავს მეოთხე ხელისუფლება!

„ევროპარლამენტის წევრი კრჟიშტოფ ლისეკი ვანო მერაბიშვილთან შეხვედრას ითხოვს. ამის შესახებ ნათქვამია „ევროპის სახალხო პარტიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში. „კრჟიშტოფ ლისეკმა წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს და პატიმრობაში მყოფ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან პერსონალური შეხვედრა სთხოვა“, — ნათქვამია განცხადებაში. „ევროპის სახალხო პარტიის“ პრესცენტრის ინფორმაციით, ევროპარლამენტის დელეგაცია საქართველოს 3 ივნისს ესტუმრება და 4 ივნისამდე დარჩება. როგორც პრესცენტრის განცხადებაშია აღნიშნული, თეა წულუკიანისადმი წერილში კრჟიშტოფ ლიესეკმა ხაზი გაუსვა, რომ ვანო მერაბიშვილთან ვიზიტის მიზანი იმ პირობების დადგენაა, რომელშიც ყოფილი პრემიერი იმყოფება, ასევე დარწმუნდება, დაცულია თუ არა ციხეში მერაბიშვილის უფლებები“.

ანუ ევროსტრუქტურების მთავარ ამოცანას დღეს სექსუალური უმცირესობებისა და ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. აი, მოხდა 17 მაისი და ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენი ელჩი დაიბარეს, დაიჭირეს ვანო და პან ლიესეკიც უცებ თბილისში გაჩნდა. დიცის ამბები? არც რუსეთის ელჩი დაუბარებია ვინმეს და, სხვათა შორის, არც ვანოსთვის უკითხავთ, როგორ მოხდა, რომ ხელფეხშეკრულმა კაცმა მაღაზიის სახურავზე ააღწია. ეტყობა, ჩათვალეს, რომ ჯერ ავიდა და შემდეგ შეიკრა ხელები.

რა ვიცი... ალბათ, მეტი გამჭვირვალობაა საჭირო და პირადად მე და ალბათ ბევრს, ძალიანაც გვაინტერესებს, რა უთხრა იუსტიციის მინისტრმა ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელს.

„ხელისუფლება ცდილობს, ჩამოიშოროს ოპოზიციის მთავარი კანდიდატი“, — უთქვამს ევროპარლამენტარს. ეგ კი არა, ახლა ტელევიზორი, საზოგადოებრივი მაუწყებელი მაქვს ჩართული, ცალი ყური იქით მაქვს მიპყრობილი და ცალი ტვინით ვასკვნი, რომ ევროვიზიაზე საქართველოს წარუმატებლობაში ბრალი ქართველ ჰეტეროსექსუალებს მიუძღვის, რომლებსაც არაფრით უნდათ დაიჯერონ, რომ სამყაროს სწორედ ერთსქესიანი ქორწინება გადაარჩენს.

აი, იუპიტერი მარსს ცოლად რომ გაყვება და ხელისმომკიდეებად (ხელისმომკიდეებად!!!) ნეპტუნი და პლუტონი რომ ეყოლებათ.

მე რომ ევროპა მიყვარს, არა მგონია, ვინმეს ეგრე უყვარდეს, მაგრამ დახეთ ნიუსს და ჩემთან ერთად გაღიზიანდით: „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია დიცთან მავთულხლართების გავლების პროცესს აკვირდება, — ამის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. მათივე ინფორმაციით, სატელეფონო ცხელი ხაზის აქტივიზაციის შემდეგ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა ინფორმაციის გაცვლას დიცის ტერიტორიაზე ახალი მავთულხლართების აგებასთან დაკავშირებით“.

ეს დაკვირვება მაგარი იციან. დააკვირდებიან როგორ იხოცება ხალხი, დააკვირდებიან, როგორ იტაცებენ ადამიანებს და მერე ჩაგიტარებენ ლექციას და აგიხსნიან, რომ სანამ ჯუმბერა ჯონდოს არ დააორსულებს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და მაპ-ზე არც კი უნდა ვიოცნებოთ. ჩვენ კიდევ, დავდგეთ და ვუსმინოთ. თემა არ მოგწონთ? არც ეგ არის პრობლემა.

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პარლამენტის წევრი გიორგი კანდელაკი დღეს 1921 წლის ოკუპაციაზე საჯარო ლექციას გამართავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს, შეხვედრა ისტორიის მოყვარულთა კლუბის ინიციატივით ტარდება. „ლექციაზე მიმოხილული იქნება 1921 წლის საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის სამხედრო კამპანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანი ყოფილი იმპერიული რუსეთის ტერიტორიებზე კონტროლი იყო. ამასთანავე, საუბარი იქნება, თუ რა საფრთხეების წინაშე შეიძლება იდგეს დღევანდელი ქართული სახელმწიფო“, — აცხადებენ უნივერსიტეტში.

ეგეთი იმბეცილი ლექციას რომ ჩაატარებს, თან ასეთ თემაზე, თავმოყვარე და შვილმოყვარე მშობელმა იმ უნივერსიტეტში შვილი როგორ უნდა გაუშვას?!

წარმოუდგენელია, არა?

სულაც არა.

„წარმოუდგენელია, აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევას საუბარი არ შეეხოს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ზურაბ აბაშიძის განცხადების კომენტირებისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა. მისი თქმით, ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევა ახალი ამბავია და თუ რა ფორმით გაჟღერდება ის აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე, ეს კონსულტაციების შედეგად გადაწყდება“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო, ოღონდ იუწყებოდა მას შემდეგ, რაც იუწყებოდა ამას: „უსაფრთხოების თემები, მათ შორის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარსა და საოკუპაციო ზოლზე შექმნილი პრობლემები ჟენევის ფორმატში განიხილება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განუცხადა. მისი თქმით, ამ საკითხს რუს კოლეგასთან ორმხრივ ფორმატში არ განიხილავს, რათა ჟენევის ფორმატის დუბლირება არ მოხდეს. „ეს ძალიან პრინციპული საკითხია, ამიტომ ასე ჩამოვყალიბდით. ორმხრივი დიალოგის ფარგლებში განვიხილავთ სავაჭრო ურთიერთობებს, სატრანსპორტო კავშირების პრობლემებს და ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების საკითხებს“, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ“.

ჩვენში დარჩეს და, თუ რუსები იმ მავთულხლართებს სამხრეთით ნინოწმინდამდე და აღმოსავლეთით ლაგოდეხამდე გადმოწევენ, ორ სახელმწიფოს შორის სატრანსპორტო კავშირების პრობლემები თავისთავად მოგვარდება, ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობები კი საერთოდ აღარ იქნება აუცილებელი.

რომ ვაკვირდები, ასე მგონია, რომ ზურაბ აბაშიძეს ორი ბატი არ უნდა ანდო, რა თქმა უნდა, თუ ბატებზე გული შეგტკივა. ჰოდა, ორ ბატს არც ანდობენ. ორ ბატს გაცილებით მეტი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია, ვიდრე ჟენევის ფორმატს და აბაშიძე-კარასინის ყველა შეხვედრას ერთად აღებულს.

სანამ ამ მოლაპარაკებებზე დაინიშნებოდა, აბაშიძე იყო ექსპერტი და, როგორც ხედავთ ექსპერტად დარჩა — ლაპარაკობს ბევრს, მაგრამ არ ამბობს არაფერს. მაინც მაგას უშვებენ და რომ უშვებენ, შედეგი — რა?! აგერ, როენა ერთხელ დაიჭირეს, სამი წელი იჯდა, გამოუშვეს და თუ აბაშიძე ექსპერტად დარჩა, როენა დარჩა მამაშად. გასულ კვირაში ისევ დაიჭირეს და ისევ გამოუშვეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, რესტორანს „შემოიხედეს“ მეპატრონე როენა ხუცურაულს 40 000-ლარიანი ჯარიმა, ერთწლიანი პირობითი სასჯელი და ორწლიანი გამოსაცდელი ვადა შეუფარდა. საპროცესო შეთანხმება პროკურატურას, მსჯავრდებულ როენა (მამაშა) ხუცურაულსა და მის ადვოკატს, გელა კობახიძეს შორის გაფორმდა.

ეს ორწლიანი გამოსაცდელი ვადა რაღა იყო? ორი წლის შემდეგ ქალიშვილობაზე შეამოწმებენ თუ როგორ?

საერთოდ, არასოდეს ვყოფილვარ პროსტიტუციის ლეგალიზაციის მომხრე, მაგრამ რაღაც დროის განმავლობაში ეს თემა არ გამხსენებია და ამასობაში, პროსტიტუციის ლეგალიზება თვალსა და ხელს შუა მოხდა. ამას შემდეგი ნიუსი ადასტურებს: „დედაქალაქის საკრებულოს უმცირესობაში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობიდან კიდევ ორი დეპუტატის გადასვლას ელოდებიან. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას, დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ განაცხადა, უკვე დიდი ხანია, უმრავლესობასა და საკრებულოს ოპოზიციურ წრეებში ნაციონალური მოძრაობიდან კიდევ ორი დეპუტატის წამოსვლის შესაძლებლობაზე საუბრობენ“.

ეს ნიუსიც რომ არა, გეხსომებათ, რომ გასულ კვირაში საპარლამენტო უმრავლესობამ სააკაშვილის ვეტო ორჯერ დაძლია და მართალი გითხრათ, წესით და რიგით, სააკაშვილი არც აღშფოთებული უნდა იყოს და არც შეშფოთებული — პოლიტიკური პროსტიტუციის მამა სწორედ იგია, ხოლო მაჭავარიანი, ბარამიძე, წიკლაური და სხვები, ყველა ერთად, კოლექტიურ დედად უნდა ჩაითვალოს.

ერთსქესიანი ქორწინება და ჰარემი-მეთქი, ზემოთ რომ ვამბობდი... ამის გათვალისწინებით, უკვე გასაგებია, რაც მოხდებოდა სააკაშვილისა და საპარლამენტო უმცირესობის შეხვედრაზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. „როგორც უმცირესობის წევრებმა განმარტეს, ისინი საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, რადგან დაკავებულია პარტიის გენერალური მდივანი, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეცვალონ გეგმები და სტრატეგიები და სხვა გეგმით იმოქმედონ“.

გეგმებსა და სტრატეგიას, რა თქმა უნდა, „კამა-სუტრას“ მიხედვით განაახლებენ, მაგრამ გიგი წერეთელი ჰყავთ და „კამა-სუტრას“ აუცილებლობა, შესაძლოა, აღარც დადგეს. გასულ კვირაში გიგი წერეთელი ვანო მერაბიშვილს ესტუმრა. ახლა, ვანო დაღონებული რომ არის, ამას წყალი არ გაუვა, არც გარეთ ხდება რამე ისეთი, მისი დაკოდილი გული რომ გაამთელოს, თუმცა სააკაშვილს ერთი მცდელობა მაინც ჰქონდა: „ჩვენ გვაქვს ეროვნული გმირის წოდება. მინდა შემოვიტანო საკანონმდებლო ინიციატივა, რომ ეროვნული გმირის წოდების მქონე ადამიანს, სიცოცხლესა თუ სიცოცხლის შემდეგ, ჰქონდეს მინისტრის დონის ხელფასი. ამაზე მეტი ვის უნდა მივცეთ ხელფასი?! საქართველოში ყველაზე მეტი ხელფასი ეროვნულ გმირებს უნდა ჰქონდეთ“.

არა მგონია, ამან ვანოს შვება მოჰგვაროს, თუმცა ეს ის ჩიტია, რომელიც ბრდღვნად ღირს.

ახლა კი, ერთი ცუდი და ერთიც ამბავი ნაციონალებისა და მათთვის, ვისთვისაც ნაცების გადარჩენა ქართული დემოკრატიის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ჯერ ცუდი ამბავი, მერე — კარგი.

პირველი: „მშენებლობა ნებართვის გარეშე დაიწყეს და მშენებლობა დაუმთავრებელია. დღემდე ვერ მოახერხა მშენებელმა ორგანიზაციამ შესაბამისი საექსპერტო ბიუროდან დასკვნის მოტანა, რომ პარლამენტის შენობა მყარია და რომ ექსპლუატაციაში გადაცემა შეიძლება. ასე რომ, ჩვენ, ვინც აქ ვართ, ყოველთვის საფრთხის ქვეშ ვართ“, — აცხადებს ზურაბ ტყემალაძე.

მეორე: „ქუთაისში ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტზე იმსჯელეს. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, დღეს საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია, მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი გიორგი შუხოშვილი ქუთაისში KFW-ს წარმომადგენლებს შეხვდნენ“.

წესით და რიგით, ნაცებსა და მათ მხარდამჭერებს ახალ ნაგავსაყრელზე უნდა ერჩიოთ, თუმცა თუ ახლა მარიამ საჯაია გამოვა და იტყვის, მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩვნიაო და თუ თინათინ ბოკუჩავაც აუბამს მხარს, ვფიქრობ, მათთვის ძველ ნაგავსაყრელზეც მოინახება ადგილი, მაია ნადირაძისა და კობა ბექაურის გვერდით.

დიდი ნაგავსაყრელი უნდა გაკეთდეს, ადგილი ყველას უნდა ეყოს.

ეგეთია ნაგავსაყრელის ანატომია. რაც შეეხება „ანატომიის“ ანატომიას, ამაზე სხვა დროსა და სხვა ფორმატში იყოს.

ე.ა. (ეგეთი ამბებია) ატკივებული სული რომ ატკივებულ სულს შეეჯახება, ორივეს მეტად და მეტად ასტკივდება და ამით ძალიან ხალისობს ბელზებელი, რომელიც იმის გამოგონებაშია, როგორ აატკივოს სულები კიდევ უფრო მეტად და ტანჯოს ისინი.

(აკა მორჩილაძე, „Maid in Tiflis“)

რა ხდება პატიმარ მერაბიშვილის საკანში

„ვანო შეცდომებს აანალიზებს, ბევრს ფიქრობს და აწუხებს, რომ საპატიმროში მოხვდა!“

რუსუდან შელია
557-100-768

უმცირესობის წარმომადგენელმა გიგი წერეთელმა, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვზე ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი მოინახულა. როგორ ცხოვრობს ხერხემალყოფილი საკანში? — „ვერსიას“ გიგი წერეთელი ესაუბრა.

— საპატიმროში, ბუნებრივია, აღფრთოვანებული ვერ იქნები — ის ადგილი არაა, სადაც შეიძლება, სასიამოვნო გარემო შეგიქმნან. ვანო მერაბიშვილის საკანი სტანდარტებს შეესაბამება, საკმაოდ ნორმალური კვების რაციონი აქვს და ჰიგიენაც დაცულია. ერთგვარი სამუშაო პირობებიც აქვს შექმნილი — საკანში მერხისმაგვარი მაგიდა და მაგარი საწოლი დგას. ფუფუნების საგნად მხოლოდ რადიომიმღები შეგვიძლია ჩავთვალოთ. ვანოს ციხის ადმინისტრაციის მიმართ პრეტენზიები არ აქვს, ერთადერთი, უტელევიზორობა აწუხებს. არადა, როგორც პოლიტიკური პარტიის მოქმედ ხელმძღვანელს, ინფორმაცია სჭირდება. ამ მხრივ, ის არაორდინალური პატიმარია. ასე რომ, არ მგონია, შესაბამისი უწყებისთვის საკითხის გადაწყვეტა რთული იყოს.

— და რატომ უნდა იყოს პატიმარი ვანო მერაბიშვილი სხვებთან შედარებით პრივილეგირებული მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერია?

— იმას კი არ ვამბობ, რომ ვანო მერაბიშვილი სხვა პატიმრებისგან უნდა გამოვარჩიოთ, პირიქით, ის ჩვეულებრივი პატიმარია, მაგრამ ისიც ფაქტია: ყველა პატიმარი პრემიერ-მინისტრი ან შინაგან საქმეთა მინისტრი არ ყოფილა. ბუნებრივია, მერაბიშვილს ამ გზაზე სირთულე და შეცდომაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ სასამართლოს გადასაწყვეტია.

„ვანო მერაბიშვილის საკანი სტანდარტებს შეესაბამება. საკმაოდ ნორმალური კვების რაციონი აქვს და ჰიგიენაც დაცულია. ერთგვარი სამუშაო პირობებიც აქვს შექმნილი — საკანში მერხისმაგვარი მაგიდა და მაგარი საწოლი დგას. ფუფუნების საგნად მხოლოდ რადიომიმღები შეგვიძლია ჩავთვალოთ“

— სხვათა შორის, ტელევიზორს ბაჩო ახალაიაც ითხოვდა, მაგრამ მაშინ ნაციონალები ასეთი სოლიდარულები არ ყოფილხართ. ისე, ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი ერთ ციხეში რამდენად ახერხებენ ურთიერთობას?

— ბოდიში, მაგრამ ერთსულოვნები ყველასთან მიმართებაში ვართ.

არავინ იფიქროს, რომ ვანო მერაბიშვილს მეტ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე — ბაჩო ახალაიას. უბრალოდ, ახალაიას საქმით ის დეპუტატები არიან დაკავებულნი, რომლებიც მისი ახლო მეგობრები არიან, ანუ გაყოფილები ვართ. რაც შეეხება ახალაიასა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებას, მსგავს ვითარებაში, არ მგონია, რომელიმე მათგანს ამის სურვილი ჰქონდეს. რაც მთავარია, ვანოს სიმშვიდე და უსაფრთხოება გარანტირებული აქვს, მხოლოდ წუხს, რომ მისი დაკავებით ქვეყნის იმიჯი დაზარალდა.

— ისე, საინტერესოა, მაინცდამაინც თქვენ რატომ შეხვედით ვანო მერაბიშვილთან და რა კრიტერიუმით შეგარჩიათ პარლამენტის თავმჯდომარემ?

— ერთადერთი კრიტერიუმი ის იყო, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბელის ვიცე-პრეზიდენტი ვარ, რაც საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ მნიშვნელოვანი სტატუსია. ასევე, პროფესიით ექიმი ვარ და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაც შემეძლო. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მერაბიშვილისთვის პატიმრობა საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობაა.

— რამდენად დამაკმაყოფილებელია პატიმარ ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან რა რჩევები მიეცით?

— დიახ, ამ საკითხზე საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ და რჩევებიც მივეცი. ფიზიოლოგიურად ორგანიზმი ახალ გარემოს უნდა შეეჩვიოს. პირველ რიგში, ძილისა და კვების რეჟიმის მოწესრიგება ვურჩიე, თანაც ადრე კუჭთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. როგორც მითხრა, ინტენსიურ ვარჯიშსაც გეგმავს, თუმცა ვურჩიე, ესეც დოზირებულად აკეთოს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მაინც ადამიანის განწყობაა, თუმცა მისთვის დეპრესია არ შემიმჩნევია. ახლა, ძირითადად, შეცდომებს აანალიზებს, ბევრს ფიქრობს და, რა თქმა უნდა, აწუხებს, რომ საპატიმროში მოხვდა, თუმცა საკმაოდ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ პოლიტიკური ბრძოლა გააგრძელოს.

სხვათა შორის, ვანო პირველი პრემიერია, რომელიც დააკავეს. როგორც ჩანს, დაკავებების სეზონი გაიხსნა, თუმცა კარგი იქნება, თუ ხელისუფლება შურისძიების ტალღას შეაჩერებს. ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, ქმნის პერსპექტივას, რომ ამ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში, „ოცნების“ წევრებსაც დაიჭერენ.

ბიძინა ივანიშვილი: „სექტემბერში პენსია 150 ლარი გახდება“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ხუთშაბათს, 30 მაისს, ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური დახმარება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის კვალდაკვალ მოიმატებს. „წინააღმდეგ შემთხვევაში, დახმარებების გაცემა გაჭირდება და მთავრობის ეკონომიკური გუნდი ამას ძალიან კარგად აცნობიერებს. მეტიც, სახელმწიფო იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე შესაძლებელია“, — ამბობს პრემიერი.

ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ორ საათზე მეტ ხანს პასუხობდა მაყურებელთა ზარებსა და წამყვანის, დავით აქუბარდიას კითხვებს. „ვერსიამ“ ყურადღება სოციალური დახმარებებისა და პენსიის ზრდაზე გაამახვილა, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აწუხებს.

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მას კარგად ესმის ხალხის გულისტკივილი, რომელიც ეკონომიკურ ცვლილებებს ახლავე ელოდება, მაგრამ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ რამდენიმე თვეში ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მთავრობა შეუძლებელს აკეთებს — ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნავს და ამ სიკეთეს თითოეული მოქალაქე ორ-სამ წელიწადში იგრძნობს. მანამდე კი, როგორც პრემიერმა განმარტა, სპეციალური ჯგუფი უკვე მუშაობს, რათა სოციალური დახმარების სტატუსი ისე განისაზღვროს, რომ აგენტებმა გაჭირვებულ ოჯახებს ვიღაცის მიერ ნაჩუქარი ტელევიზორის ან მაცივრის გამო, ქულები არ დააკლონ.

პენსიის ზრდას მხოლოდ ერთი ტელემაყურებელი, აფხაზეთის ომის ვეტერანი შეეხო, რომელიც 22-ლარს იღებს. ის დაინტერესდა, გეგმავს თუ არა მთავრობა დახმარების გაზრდას. ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ ამ მხრივ, რაც შესაძლებელი იყო, მთავრობამ ყველა ცვლილება განახორციელა:

„თქვენ, ალბათ, 22-ლარიან დახმარებას გულისხმობთ და არა — პენსიას. პენსია გაცილებით მეტი გექნებათ. რამდენიმე თვეში წარვადგენთ სახელმწიფო ბიუჯეტს და ის, რაც დაგეგმილი გვქონდა, განვახორციელებთ. ჩვენ უკვე გავზარდეთ სოციალური დახმარებები, მათ შორის, პენსიებიც. 2013 წლის სექტემბერში, პენსია კიდევ გაიზრდება, მაგრამ ახლა ზუსტი ციფრები არ მაქვს“.

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ 2013 წლის 1 აპრილიდან, ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია, 67 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიამდე გაიზარდა და 125 ლარს გაუტოლდა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განმარტებით კი, 1 სექტემბრიდან, ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია 20%-ით გაიზრდება, საარსებო მინიმუმს გაუტოლდება და 150 ლარი გახდება. ინვალიდობის პენსია, რომელიც ახლა 70 ლარია, გაიზრდება 42%-ით და 100 ლარი გახდება; მარჩენალდაკარგულთა 55-ლარიანი პენსია 81%-ით მოიმატებს და 100 ლარი გახდება; პოლიტრეპრესირებულების 55-ლარიანი პენსიაც 81%-ით გაიზრდება და ისიც 100 ლარი იქნება.

„რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბიუჯეტს, რომელიც 2012 წელს 25 000 000 ლარი იყო, 2013 წელს 92%-ით გაიზარდა და 48 000 000 ლარი გახდა. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების ასაშენებლად, 2013 წლის ბიუჯეტიდან 50 000 000 ლარია გამოყოფილი. 2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2013 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბიუჯეტი 61,8%-ით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ბიუჯეტი 39,5%-ით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 29,5%-ით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 25,7%-ით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი კი 11,8%-ით გაიზარდა“, — ასე განუმარტა ნოდარ ხადურმა „ვერსიას“ 2013 წლის ბიუჯეტის პარამეტრები.

150-ლარიან პენსიას დაზღვევის თანხაც ემატება და იმის გამო, რომ ქვეყანაში ინფლაციური პროცესები არ განვითარებულიყო, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ პენსია ეტაპობრივად, ნელ-ნელა გაზარდა. რაც შეეხება დაზღვევას, 2013 წლის 1 თებერვლიდან დაზღვევის პაკეტი ნაწილობრივ ამოქმედდა, მაგრამ ივლისიდან ამ პროცესში სრულიად საქართველოს მოსახლეობა ჩაერთვება და სახელმწიფო ბიუჯეტში ამისთვის 740 000 000 ლარია გათვალისწინებული.

მართალია, 2013 წლის 1 სექტემბრიდან პენსია 150 ლარამდე იზრდება, მაგრამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, **დავით ონოფრიშვილმა** „ვერსიას“ უკვე განუცხადა, რომ შესაძლოა, პენსია 300 ლარამდეც კი გაიზარდოს:

„პენსიის 150 ლარამდე ზრდის პარალელურად, რეალური საარსებო მინიმუმიც გადაითვლება, რადგან ყველამ ვიცით, რომ შეუძლებელია, ადამიანმა 150 ლარად იცხოვროს. საარსებო მინიმუმის კალათი აუცილებლად შეიცვლება და შედეგად, პენსია საგრძნობლად გაიზრდება. საერთოდ, „ქართული ოცნების“ ყველა დაპირება ოთხწლიან საპარლამენტო ვადაზეა გაწერილი, ამიტომ პირველ წელს პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება, ამის შემდეგ გაიზრდება და გამორიცხული არ არის, 4 წლის მანძილზე, 300 ლარსაც კი მიაღწიოს. ზუსტი ციფრის თქმა ძალიან ძნელია, მაგრამ პენსია ყოველწლიურად გაიზრდება. რაც მთავარია, იმ პოლიტიკოსებისგან კრიტიკას ვერ მივიღებთ, რომლებმაც პენსია 9 წლის მანძილზე, საარსებო მინიმუმს ვერ გაუთანაბრეს და 100 დოლარამდეც კი ვერ გაზარდეს“.

კობა ხაბაზი „ოცნების“ ხელისუფლებისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს!

ერუსუდან შელია
557-100-768

2011 წლის 26 მაისს აქციის დარბევასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს, ვანო მერაბიშვილს კი, პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს. დაჭერების სერიის გაგრძელებასაც ელოდება და, ამასთან, საპრეზიდენტო არჩევნებამდე უაპელაციო ბრალდებებისთვის ხელისუფლებას ბოდიშის მოხდას სთხოვს. რატომ არ გრძელდება სტუდენტთა დასაქმების პროგრამა და ვის ევაჭრება ზურაბ ჟვანიას გახსნილი საქმით პროკურატურა?

— „ვერსიას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი და მერიის შპს-ების სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებული კობა ხაბაზი ესაუბრა.

„ვანო მერაბიშვილი არჩევნებამდე ბიძინასთან რომ გადასულიყო, დღეს ხელისუფლებას 26 მაისისა და გირგვლიანის საქმე არც კი გაახსენდებოდა!“

— ხელისუფლებას დასაქმების პროგრამა განსაკუთრებით არ მოსწონს... გიორგი მარგველაშვილს შეხვედრაზე სტუდენტებმა საკმაოდ ლოგიკური წინადადება შესთავაზეს, არსებული ხარვეზები გამოსწორდეს და სტუდენტური დასაქმების პროგრამა გაგრძელდესო, თუმცა განათლების მინისტრის პასუხმა გამაოცა, ასეთ სისულელესა და სიბინძურეში ფულის გადაყრას არ ვაპირებთო. გამოდის, გიორგი მარგველაშვილისთვის, რომელიც უკვე საპრეზიდენტო კანდიდატია, სტუდენტების დასაქმება სიბინძურესთან ასოცირდება.

— ამ შემთხვევაში, იმაზეა საუბარი, რომ წინა ხელისუფლება სტუდენტების დასაქმების პროგრამას პოლიტიკურ იარაღად იყენებდა...

— კი ბატონო, პროგრამა ისე გააგრძელონ, რომ სტუდენტები პოლიტიკურ იარაღად არ გამოიყენონ. ვანო მერაბიშვილიც იმიტომ დაიჭირეს, რომ დასაქმების სახელმწიფო პროგრამას ხელმძღვანელობდა და, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ განახორციელა. აქ ხელისუფლების დამოკიდებულებაზეა საუბარი.

— ბატონო კობა, როგორც ვიცი, ვანო მერაბიშვილი თქვენი მეგობარია, მაგრამ დასაქმების პროგრამის გარდა, 26 მაისს არაპროპორციული ძალის გამოყენებაშიც ედება ბრალი და, შესაძლოა, დანაშაული გირგვლიანის საქმეზეც დაუმტკიცდეს. ამ საქმეებში მის პასუხისმგებლობას ვერ ხედავთ?

— 26 მაისს აქციის დაშლის პროცესს აბსოლუტურად სხვა კუთხით ვუყურებ.

რატომღაც არავის ახსენდება ჩანაწერი, სადაც ნინო ბურჯანაძე და მისი შვილი საუბრობენ, რომ აქციაზე ერთი-ორი ადამიანის გარდაცვალება კარგი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში, პროცესებში რუსეთის „გრუ“ ჩაერთვებოდა. მაშინ ბურჯანაძე აცხადებდა, ჩანაწერი ფაბრიკაციააო, სწორედ ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლებისაგან მოვითხოვ, გადაამოწმოს, არის თუ არა აღნიშნული ჩანაწერი დამონტაჟებული. აქციის ორგანიზატორი ნინო ბურჯანაძე ხალხს მიმართავდა, თუ არ შემოგვიერთდებით, არ გვჭირდებით, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთო. მაინტერესებს, როგორ აპირებდნენ ხალხის გარეშე გამარჯვებას?

— თუ ნინო ბურჯანაძის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო დივერსიის შესახებ წინასწარ იცოდით, ბურჯანაძე რატომ არ დააკავეთ და რუსთაველის გამზირზე ხალხის უმოწყალოდ დარბევა რა საჭირო?

— პროკურატურის ბრალდებაში, იცით, რა წერია? — ვანო მერაბიშვილი კანონიერად მოიქცა, როცა მიტინგი დაარბია, თუმცა ძალა არაპროპორციულად გამოიყენაო. დიახ, ვაღიარებთ, რომ სამართალდამცავებმა, მართლაც, არაპროპორციული ძალა გამოიყენეს, მაგრამ კადრებში კარგად ჩანს, რომ ვითარება მხოლოდ მას შემდეგ გახდა უმართავი, რაც ბურჯანაძის ესკორტმა ერთ-ერთ პოლიციელს გადაუარა.

პირადად მე, 26 მაისს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობ, პირიქით, ნეტა, 1921 წელს, მაშინდელი ხელისუფლებაც არადემოკრატიულად მოქცეულიყო და გასაბჭოება თავიდან აგვეცილებინა. დარწმუნებული ვარ, ნინო ბურჯანაძესა და მის შვილს რუსული მხარე ატყუებდა, რომ პროცესებში გრუ-ც ჩაერეოდა. სინამდვილეში, რუსეთის თბილისში შემოსვლა კი არა, ქვეყნისთვის იმიჯის შელახვა და არეულობა აწყობდა. ასე რომ, როცა საზოგადოება ამ ყველაფერს კარგად გაიაზრებს, იმედი მაქვს, ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

ხელისუფლება უაპელაციოდ ზურაბ ჟვანიას მკვლელობაშიც გვადანაშაულებდა, მაგრამ სად არის ეს საქმე და რატომ არ ეუბნებიან საზოგადოებას გამოძიების შედეგებს?

— მთავარმა პროკურორმა დიდი ხანია დააანონსა, ზურაბ ჟვანიას საქმე გასაჯაროვდებაო.

— და თუ საქმე გამოძიებულია, აქამდე რატომ არაა ცნობილი, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა პრემიერი? მაინტერესებს, ვინმეს ევაჭრებიან?

— ვის შეიძლება პროკურატურა ევაჭრებოდეს ან რა არის ამ საქმეში სავაჭრო?

— გარწმუნებთ, წინა გამოძიების შედეგისაგან განსხვავებული არაფერი იქნება, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება, როგორც მინიმუმ, შეცდომას აღიარებს და იტყვის, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში, ხშირ შემთხვევაში, აბსურდულ ბრალდებებს ახმოვანებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ კოალიციის წარმომადგენლების ჩანაწერები ფაბრიკაცია იყოო, მაგრამ ყველამ კარგად ვნახეთ, როგორ მოექცა პრემიერი ეროვნულ ფორუმს. გუბაზ სანიკიძე სწორედ იმის გამო „დაისაჯა“, რომ ბიძინა ივანიშვილის ოჯახზე ლაპარაკობდა, რაც, სხვათა შორის, ჩვენც კი არ გვიკადრია. მსგავსი ინტრიგნული მეთოდებით ერთმანეთს „ჩეკისტები“ უსწორდებოდნენ... არჩევნებამდე უხვად გაცემული დაპირებებიდან ერთიც არ სრულდება. ჩვენ კი, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მართლაც, დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობას შევუდექით, პოლიციაში საკმაოდ წარმატებული რეფორმები განვახორციელეთ, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები გავარემონტეთ.

— გავიწყდებათ, რომ ყველაფერი ეს ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით..

— ტყუილია!

თუ ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ მიერ ორგანიზებულ რეფორმებში ერთი თეთრი ჩადო, ყველაფერს თვითონ ნუ მიიკერებს. პატრულში მისი დაფინანსების წილი მხოლოდ 0,1% იყო. მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილს დღეში 2 მილიონი ფულადი შემოსავალი აქვს, ქვეყნის განვითარებისთვის გარკვეული ფინანსური დახმარება დიდ ქველმოქმედებად ნამდვილად არ მიმაჩნია.

ჩემი თუ არ გჯერათ, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი ამოიღეთ და ნახავთ, რამდენით დააფინანსა ბიძინა ივანიშვილმა სკოლების რემონტი. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც გადასახადს იხდის, სკოლების რესტავრატორად შეგვიძლია ჩავთვალოთ. არ მინდა, კოალიციის წევრებს ჭორაობაში დავემსგავსო, მაგრამ ხელისუფლების მიმართ კიდევ ერთი შეკითხვა მიჩნდება, რატომ არ იძიებენ იმ ბიზნესმენების საქმეებს, რომლებიც არჩევნების შემდეგ მათ ფლანგზე გადავიდნენ? თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ ისინი აბსოლუტურად უკანონოდ აწარმოებდნენ საკუთარ საქმიანობას? ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში შერჩევითი სამართალია და ვანო მერაბიშვილის დაკავებაც აბსოლუტურად პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. მერაბიშვილი არჩევნებამდე ბიძინასთან რომ გადასულიყო, მერწმუნეთ, დღეს ხელისუფლებას 26 მაისისა და გირგვლიანის საქმე არც კი გაახსენდებოდა!

— და რა საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს დღევანდელი ხელისუფლებისთვის ვანო მერაბიშვილი, რომლის მხარდასაჭერადაც პროკურატურასთან 10 ადამიანი ძლივს გროვდება?

— სასამართლოს პროცესის დროს, სპეციალურად ოთხი საათით ადრე გვატყობინებენ, რათა მხარდამჭერების მობილიზაცია ვერ მოვასწროთ. საერთოდ, ბევრი ადამიანის ქუჩაში გამოსვლით სიმართლე არ იზომება, შეიძლება, ქუჩაში ერთი ადამიანი გამოვიდეს, მაგრამ სიმართლე სწორედ მის მხარეს იყოს. პირადად მე, სულ რომ მარტო დავრჩე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა საქართველოში რუსული პროექტი არ განხორციელდეს.

— თქვენი უფროსი, გიგი უგულავა ხშირად აცხადებს, რომ შესაძლოა, მერაბიშვილის შემდეგ მისი ჯერიც დადგეს, ამასთან, არცთუ დიდი ხნის წინ, პრემიერ-მინისტრმა გარკვეული მინიშნება გააკეთა, რომ მალე გიგა ბოკერიას მიერ გახარჯული სახელმწიფო თანხების შესახებ გახდება ცნობილი.

— ბოკერია იმისთვის უნდა დაიჭირონ, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკის საწარმოებლად, ან საქართველო იმიჯის ასამაღლებლად ფულს ხარჯავდა?

— მოდელებისთვის ბოტოქსის დაფინანსებაც ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად ხორციელდებოდა?

— ჩემზეც იყო საუბარი, რომ ახალ წელს დუბაიში ვისვენებდი, როცა სინამდვილეში, ავღანეთში ვიმყოფებოდი. როცა საკუთარ თავზე ვიწვნიე მათი უსინდისო ტყუილი, სხვა დანარჩენი როგორ უნდა დავიჯერო? სხვათა შორის, სიცრუეა, თითქოს ხათუნა იმერლიშვილის ქმარი საკმაოდ მსხვილბიუჯეტიანი ტენდერიდან მოხსნეს, სინამდვილეში, მასთან დაახლოებული პირის კომპანიამ გაიმარჯვა. ჩვენც კი არ ვაკეთებდით მსგავს აფერისტობას, თანაც შევარდნაძის კი არა, ასლან აბაშიძის რეჟიმში გავიზარდე და იმერლიშვილების მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე. ეს ის ხალხია, რომლებსაც პოლიტიკა კი არ აინტერესებთ, პოლიტიკა ფეხებზე კიდიათ და მილიონები უნდა იშოვონ.

ვერსიანიუსი

თბილისს ევროპარლამენტის საგანგებო დელეგაცია ეწვევა

ევროპარლამენტართა ვიზიტი 3-4 ივნისს გაიმართება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ლიბორ როუჩეკი (სოციალისტ-დემოკრატთა პროგრესული ალიანსი ევროპის პარლამენტში – S&D), კრჟიშტოფ ლისეკი (ევროპელ ხალხთა პარტია — EPP), იან კოჟლოვსკი (ევროპელ ხალხთა პარტია — EPP), ბორის ზალა (სოციალისტ-დემოკრატთა პროგრესული ალიანსი ევროპის პარლამენტში — S&D), ანემი ნეიც-უტებროკი (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის — ALDE), რიშარდ ჩჟარნეცკი (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი — ECR), ულრიკე ლუნაჩეკი (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი ევროპის პარლამენტში greens/EFA).

ვიზიტის ფარგლებში, პირველი შეხვედრა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გაიმართება. შემდგომ, ევროპარლამენტარები მედიის წარმომადგენლებს შეხვდებიან. დაგეგმილია შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებთან.

ევროპარლამენტის დელეგაცია სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარსაც შეხვდება.

შეხვედრების ბოლოს, ევროპარლამენტარები პრესკონფერენციას გამართავენ. დელეგაცია თბილისს 5 ივნისს დატოვებს.

„ინტერპრესნიუსი“

„მიშას ეკა ხერხეულიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი ეწინწინებოდნენ, დაარბიე 26 მაისის აქცია, თორემ თავს მოვიკლავთო!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნუგზარ წიკლაურის მიერ „ქაჯანად“ მონათლული, ორგზის პარლამენტარი კარლო კოპალიანი ერთადერთი დეპუტატი იყო, ვინც 2011 წელს ნინო ბურჯანაძის სახალხო კრებას შეუერთდა და 26 მაისის დარბევისასაც დაზარალდა. ახლა კი, როცა ქვეყნის ყოფილი „ხერხემლის“, ვანო მერაბიშვილის ბრალი 26 მაისის ეპიზოდმაც დაამძიმა, კარლო კოპალიანი პროკურატურისგან 26 მაისის საქმეზე დაკითხვას ითხოვს და ირწმუნება, რომ გამოძიებას ახალ დეტალებს მიაწვდის. „ოცნების“ დეპუტატი კარლო კოპალიანი „ვერსიას“ სწორედ ამ დეტალებზე ესაუბრა.

ნუგზარ წიკლაურისგან „ქაჯანად“ მონათლული კარლო კოპალიანი ნაცების „მეცაშე-დირიჟორ“ ედარ კვერნაძეს მოქრთამვაში ადანაშაულებს

— წინა პარლამენტის ფრაქციიდან — „ერთობა სამართლიანობისთვის“ მხოლოდ თქვენ და გიორგი ცაგარეიშვილი შეხვედით კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, არადა, ზემოხსენებული ფრაქცია, თავის დროზე, „ოცნების“ ერთადერთი საპარლამენტო მხარდამჭერი იყო...

— ამ ფრაქციის ერთადერთი პარტიის კოალიციაში შესვლა მოლაპარაკების საგანი თვითონ ჯონდისა და ბიძინას შორის იყო. ჯონდი არავის „გადაუგდია“, შეიძლება, უბრალოდ, ვერ მოილაპარაკეს, რადგან მას თავისი პრინციპები ჰქონდა, კოალიციას — თავისი მოთხოვნები. რაც შეეხება დიმა ლორთქიფანიძეს, ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ, თუმცა იგი ახლა სხვა პარტიაშია. არ მგონია, ეს დაპირისპირება დიდხანს გაგრძელდეს, ან ამან რამე შედეგი მოიტანოს. ეს მომგებიანი, პირველ რიგში, მათი პარტიისთვის არ არის. მე კი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, პარტიული არ ვყოფილვარ, ახლა შევედი „ოცნებაში“ და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელიც ვარ. არსად არავინ მზღუდავს, პატარა, გამოუცდელი ბავშვები არ ვართ და კარგად ვიცით, სად რა ვთქვათ!

— ისე, ნუგზარ წიკლაურმა „ქაჯანა“ გიწოდათ, კაცს 3 წელი ხმა არ ამოუღია და მხოლოდ ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ალაპარაკდაო. მაინცდამაინც არც ახლა აქტიურობთ, რატომ?

— წინა პარლამენტში 50-მდე ბრიფინგი მაქვს ჩატარებული, ამდენივე საგაზეთო ინტერვიუც მივეცი, მაგრამ ჩემს გასაშუქებლად ერთი ტელევიზიაც არ მოდიოდა. „ქაჯანა“ ვინაა, კვერცხებს ვის ესვრიან, რესტორნებში ვინ ვერ დადის და კაფეებში ჩაისა და ყავას ვინ ვერ სვამს, ეს ისედაც ჩანს! რაც შეეხება ჩემს ახლანდელ პასიურობას, ყველაფერი წინ არის! საპარლამენტო ცხოვრებაში ბევრად დიდ აქტიურობას ვაპირებ. ძალიან ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი.

— სხვათა შორის, წინა პარლამენტში ერთადერთი დეპუტატი იყავით, ვინც მხარი ნინო ბურჯანაძის სახალხო კრებას დაუჭირა...

— მაშინაც ერთადერთი დეპუტატი ვიყავი, ვინც 9 აპრილის აქციების დროს პარლამენტიდან გამოვიდა და „მესაკნე“ გახდა, თუმცა მერე, გიორგი ცაგარეიშვილიც შემომიერთდა. რომ იცოდეთ, რამდენ მაცდუნებელ წინადადებაზე ვთქვი უარი — ნაციონალური მოძრაობა ჩემს ყიდვასაც ცდილობდა და შეშინებასაც. ელდარ კვერნაძე მომიგზავნეს, ნაციონალების მეტაშე-დირიჟორი და ნახევარ მილიონს მთავაზობდნენ! სხვათა შორის, თბილისში, ახლაც ნაქირავებში ვცხოვრობ, მყავს ორი ბიჭი, ორი ობოლი და მათ ვზრდი, არადა, მეორე მოწვევის დეპუტატი ვარ! ცდუნება დიდი იყო — მეუბნებოდნენ, ვიცით, ფული არ გაქვს, კრედიტებს იხდი, მიშას ენით რომ ვთქვათ, გაღლეტილი ხარ, მაგრამ ყველა პრობლემას გადაგიწყვეტთ, ოღონდ თორთლაძის ფრაქციაში დარჩიო. ეს იმიტომ მოვყევი, რომ შეურიგებელ ძალასთან მინდოდა ყოფნა და არა ხელოვნურ ოპოზიციაში, ამიტომაც წავედი სახალხო კრებასთან. ბურჯანაძის პარტიიდანაც მქონდა შემოთავაზება, უბრალოდ, უპარტიოდ დარჩენა მინდოდა. თანავუგრძნობდი სახალხო კრებას და 26 მაისს ერთადერთი დეპუტატი ვიყავი, ვინც რუსთაველზე იმ მოვლენებს აკვირდებოდა.

> **დამიჭირეს, დამაკავეს, ბორკილები დამადეს და ბევრიც მირტყეს. თავიდან არ გავამხილე, ვინ ვიყავი. როცა „მარშრუტკაში“ ამიყვანეს და სადღაც მივყავდი, გამჩხრიკეს და აღმოაჩინეს, რომ დეპუტატი ვყოფილვარ. ეს ინფორმაცია სასწრაფოდ გადასცეს და „ჩეპე“ შეექმნათ. მერე ბრძანება მიიღეს, დეპუტატი გაუშვითო, გააჩერეს ეს „მარშრუტკა“ და „ელიავას“ ბაზრობასთან ჩამომაგდეს, ღამის 3 საათზე. მაშინ შოთა მალაშხია და ნუგზარ წიკლაური გააქტიურდნენ, ჩემზე ამბობდნენ, რუსეთის დესანტი გვიზის პარლამენტშიო, თუმცა ვინაა რუსული პოლიტიკის გამტარებელი, კარგად გამოჩნდა!**

— ვანო მერაბიშვილს ბრალი 26 მაისი საქმეზე დაუმძიმდა და ხელმეორედ შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. თქვენ კი ამბობთ, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ დამატებითი კომპრომატები გაქვთ. მაინც, რა კომპრომატებზეა საუბარი?

— პირველ რიგში, პროკურატურისგან ვითხოვ, დამკითხონ. პარლამენტის წევრები — გოგი ქავთარაძე, სოსო ჯაჭვლიანი დაკითხეს, მაგრამ მე, სამწუხაროდ, არავის დაუკითხივარ. რატომ? — არ ვიცი! ეტყობა, საჭიროა, პროკურატურას ამის შესახებ შევახსენო. მე შემიძლია, ბევრი ფაქტი მოვყევ.

> **პარლამენტის კიბეზე ვიდექი და იმის მომსწრე ვარ, როგორ ისროდნენ ტყვიებს პარლამენტის შიგნიდან. 2007 წელს ეს კარი გაიღო და დარბეულმა ხალხმა თავი პარლამენტს შეაფარა, ეტყობა, ეს აქციის მონაწილეებს ახსოვდათ და ახლაც იგივე მოლოდინი ჰქონდათ, თუმცა გისოსებზე გადაძრომის მსურველები ძირს ჩიტებივით ჩამოყარეს. ვიცი, როგორ მოგვაქციეს ალყაში, მერე ამ ხალხს როგორ აიძულებდნენ, ნინო ბურჯანაძისა და ნონა გაფრინდაშვილისთვის შეეგინებინათ. მერე, ყველა „თავისუფლების“ მეტროსკენ წაგვიყვანეს, სადაც სისხლში ჩამხრჩვალი ხალხის გორა იდგა, ამ გორაზე შემაგდეს მეც და მერე, ჩვენს თავებზე პოლიციელები დადიოდნენ. ყველაფერ ამაზე დეტალური ინფორმაცია მაქვს!**

— კონკრეტულად, მერაბიშვილის წინააღმდეგაც თუ გაქვთ მტკიცებულება, ან გამოძიება იმას როგორ დაამტკიცებს, რომ სისხლის გუბეები სწორედ მისი ბრძანებით დააყენეს?

— თუ არა ვანო, მაშინ ვინაა დამნაშავე 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით? ვანომ ხომ მაინც იცის, ვინ გასცა დარბევის ბრძანება, ვინ შეადგინა ალყაში ხალხის მოქცევის გეგმა?! ასეთ დეტალებში მიხეილ სააკაშვილი არ ჩაერეოდა! ეს იყო სერიოზული, სამაგალითო სადამსჯელო ოპერაცია ხალხის წინააღმდეგ. ასეთი რამ როდიონოვის დროსაც არ ყოფილა. მერე, თითქოს იმასაც ამბობდნენ, ვანოს ჩასაძირად, ახალაიებმა სპეციალურად გასცეს ბრძანებაო. ჰოდა, ამიტომ არის ბაჩო ახალაია ციხეში, ვანო მერაბიშვილიც ციხეშია და დარწმუნებული ვარ, მათ კიდევ ბევრი მიემატება.

> **ისიც ვიცი, ვინ ეუბნებოდა მიშას, სამაგალითოდ დაარბიე ეს აქცია, თორემ თავს მოვიკლავთ, ფანჯრიდან გადავხტებითო — ეს იყო ეკა ხერხეულიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი. აწიწინდნენ ეს ქალები და ისინი რა, არ არიან დამნაშვეები?**

ალბათ, ეგონათ, ცხოვრების ბოლომდე ხელისუფლებაში იქნებოდნენ, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში! ერთ მაგალითს გეტყვით — კონტროლის პალატის კომისიის წევრი ვარ და ვაპირებ, უახლოეს მომავალში პრესკონფერენციები ჩავატარო და დასკვნის შესახებ დეტალური ინფორმაცია გავაჟღერო. წინ კიდევ ბევრი საინტერესო დეტალია.

— მერე, კონტროლის პალატის ექსუფოროსი, ლევან ბეჟაშვილი პარლამენტში რომ გიზით და „ეკოჰაბიტაციებით“, ნორმალურია?

— საერთოდ, არავითარი კოჰაბიტაცის მომხრე არ ვარ! ჩიორას რომ ცხვირში მოარტყეს ბიბლიოთეკასთან, მე და პალიკო კუბლაშვილს პირადი საუბარი გვქონდა და ვკითხე, 26 მაისს 30 „დუბინკიანი“ რომ მირტყამდა, ხომ კარგი ყოფილა-მეთქი? მიპასუხა, მერე, გამოიძიეთ 26 მაისის მოვლენები, ხელისუფლება თქვენ არ ხართო?! არადა, 26 მაისის კვირაში პარლამენტის ტრიბუნიდან ვიხვეწებოდი, კომისია შექმენით და გაარკვიეთ, ვინაა დამნაშავე და ვინ არა-მეთქი. ამაზე ჩემი შეხედულება მაქვს — მხოლოდ ერთი კაცის კი არა, მთელი ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი საქმიანობა უნდა გამოვიძიოთ და თუ მათ მთელი რიგი ბრალდებები დაუმტკიცდებათ, მათი მოღვაწეობა, როგორც კომპარტიისა, ისე აიკრძალება ქვეყანაში!

შსს-ს აკადემიამ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბავშვთა სახლების 30 აღსაზრდელს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 12 ბავშვს მიულოცა.

ახალგაზრდებში სპორტული ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით, შსს-ს აკადემიაში სხვადასხვა სპორტული ღონისძიება მოეწყო: შსს-ს აკადემიის 16 წლამდე ასაკის საქართველოს ჩემპიონი საკალათბურთო ნაკრების წევრებმა საჩვენებელი თამაში გამართეს შოუს ელემენტებით (თამაშში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა ბავშვებმაც);

შსს-ს აკადემიის ვირტუალურ ტირში ბავშვებს სროლის საშუალება მიეცათ;

შსს-ს მომსახურების სააგენტოს ინსტრუქტორებმა ბავშვებს შეასწავლეს საგზაო მოძრაობის წესები თეორიული და პრაქტიკული მაგალითებით (ამისათვის გამოყოფილი იყო 3 საგამოცდო ავტომობილი);

წარმოდგენილი იყო 2 ახალი საპატრულო მანქანა და 1 მოტოციკლი, რომლებიც მოწვეულმა ბავშვებმა დაათვალიერეს;

ღონისძიების დასასრულს გაიმართა სადილი და დაიჭრა სადღესასწაულო ტორტი, რის შემდეგაც ბავშვებმა სამახსოვრო საჩუქრები და შსს–ს აკადემიის ლოგოტიპიანი სუვენირები მიიღეს.

ღონისძიებას შსს-ს წარმომადგენლები და შსს-ს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი დაესწრნენ.

შსს-ს აკადემიაში გამართული ღონისძიების გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიური დეპარტამენტის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს საკვები პროდუქტებით დაეხმარა.

„ვერსიანიუსი“

„მირჩევნია, მეც და ჩემმა შვილმაც სიგარეტი კი არა, მარიხუანა მოვწიოთ!“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

2 ივნისს, დედაქალაქში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილ შენობასთან შეკრებილი რამდენიმე ასეული ადამიანი მარიხუანას დეკრიმინალიზაციას მოითხოვდა და ამ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარებისთვის დაწესებულ ჯარიმებს აპროტესტებდა. „პლანის მოხმარება არ ნიშნავს ნარკომანობას,“ „მე მიყვარს ბობი ბრაუნი!“ — აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. „ისე არ უნდა განვიხილოთ, თითქოს მარიხუანას პოპულარიზაციას ვახდენთ. ამ აქციით სოლიდარობას გამოვხატავთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ციხეში მარიხუანას მოხმარებისათვის სხედან. მიმაჩნია, რომ კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს და მარიხუანას მოხმარება დასჯადი აღარ უნდა იყოს. მარიხუანას დეკრიმინალიზაცია „კრაკადილის“, „ჯეფისა“ და „ვინტისგან“ ადამიანების ჩამოხსნის საშუალებაა“, — განაცხადა 2 ივნისის აქციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა, ლექსო მაჭავარიანმა.

რობერტ კუხიანიძე, აქციის მონაწილე: „მათთვის, ვისაც სიმსივნე აქვს, ან რაღაც აწუხებს, მარიხუანა კარგია. ისეთ სახელმწიფოში მინდა ვიცხოვრო, სადაც მოსაწევი საჭირო არ იქნება. რაც დღეს ხდება, გაუგებარია. საქართველოში „ბიო“ შემოაგდეს, ვინც ეს შემოიტანა, მე იმის დედას... ეგ არის ტვინში ინტენსიური დარტყმა. მოსაწევის გულისთვის 500 და 1000-ლარიანი ჯარიმებს ის ღიპიანი პარლამენტარები აწესებენ, რომელთაც მაცივრიდან ერთი ყუთი ნაგავი გააქვთ. დასალევია, პირველ რიგში, გასაძვირებელი“.

ეკა ეკიზაშვილი, აქციის მონაწილე: „მარილია ყველაზე დიდი მკვლელი, მაგრამ არავინ კრძალავს, იმდენ მარიხუანას კი ვერავინ მოიხმარს, რომ მოკვდეს. თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებით ბევრი ადამიანი იღუპება, მაგრამ მას არავინ კრძალავს. უნდა მოხდეს მარიხუანას გამოყოფა სხვა ნარკოტიკებისგან. მირჩევნია, მეც და ჩემმა შვილმაც სიგარეტი კი არა, მარიხუანა მოვწიოთ!“

მიშა მესხი, მსახიობი: „მოვითხოვ სამართლიანობას! ეს საკითხი მთელ მსოფლიოს დალაგებული აქვს, ჩვენთან კი, ერთი „ნაპასის“ გამო შეიძლება, „სროკზე“ გაგიშვან. პირველ რიგში, დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს, ლეგალიზების მოთხოვნას მერე შევუდგებით. მაგიტომ მოვიშორეთ წინა მთავრობა, რომ ახალმა რაღაც გააკეთოს.“

სოსო თოლორაია, ტელეკომპანია „მაესტროს“ წამყვანი: „მარიხუანა აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს და ამით თავიდან ავიცილებთ „კრაკადილის“ მოხმარებას და ამ საშინელებით ვენების ლპობას. არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გვიწევს. მე ის ცუდი მირჩევნია, რომელიც მთელ მსოფლიოში მისაღებია. აშშ-ში მეც მოვიხმარდი მარიხუანას — იქ აფთიაქში იყიდება!“

პირველი ივნისიდან დასუფთავების გადასახადი სულზე 2,5 ლარია

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

თბილისის საკრებულოს 31 მაისს სხდომას მხოლოდ საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობა კი არა, ნატო-ს წარმომადგენელიც ესწრებოდა. კანონმდებლებს 2010 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე — დენზე მიბმული ნაგვის გადასახადის განცალკევებაზე უნდა ემსჯელა. საკრებულოს უმცირესობა დილიდანვე მოითხოვდა, რომ დღის წესრიგში თბილისის მერიის მიერ შექმნილ შპს-ებში სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმების საკითხიც შეეტანათ, მაგრამ ეს მოთხოვნა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ჩააგდო.

„თბილისის მერიის შპს-ებში შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოების წევრების ხელფასი გამგებელთა ხელფასის ტოლია, ამიტომ სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმებაზე უნდა ვიმსჯელოთ, მით უმეტეს, რომ საბჭოების გაუქმებით თბილისის ბიუჯეტი, ერთი წლის განმავლობაში, მილიონნახევარ ლარს დაზოგავს და ამ თანხით საბავშვო ბაღებში ცენტრალური გათბობის სისტემას დავამონტაჟებთ“, — **განაცხადა სხდომის დაწყებისთანავე უმცირესობის წევრმა ირაკლი შიხიაშვილმა, თუმცა უმრავლესობამ მისი სიტყვები, როგორც იტყვიან, ყურს იქით გაატარა და მსჯელობა დენისა და ნაგვის გადასახადის გამიჯვნაზე დაიწყო.**

თბილისის მერია და საკრებულოს უმრავლესობა დასუფთავების ტარიფის სულზე 2,50 თეთრით განსაზღვრას მოითხოვდა, თუმცა ოპოზიცია არ დაეთანხმა. ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე“ ზაზა გაბუნია კოლეგებს არწმუნებდა, რომ მერიის შემოთავაზებული ტარიფი უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვს გაზრდიდა.

საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა კახა კუკავამ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ კორუფციულ შეთანხმებაში დაადანაშაულა და კოლეგებს საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება შესთავაზა.

„სრულიად აშკარაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ეს საკითხი ხალხის ზურგსუკან გადაწყვეტა, ახლა კი ერთმანეთზე გადაბრალება ხდება. პარლამენტმა კანონი ფორმალურად მიიღო — ცენტრალურმა ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა მოიხსნა, მოსახლეობისთვის კი არაფერი შეიცვლება“, — **განაცხადა კახა კუკავამ.**

ოპოზიციონერ კოლეგებს საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე პოკი იონათამიშვილი გამოეხმაურა: „ზაზა გაბუნია ითხოვს, რომ ტარიფი 1.50 თეთრი იყოს, ამ მოსაკრებლით კი, დასუფთავების სამსახური მუშაობის გაგრძელებას ვერ შეძლებს. სამართლიანად არ მიმაჩნია სულადობრივი ტარიფის დაწესება, ვინაიდან ეს ბევრ ადამიანს გაუზრდის დასუფთავების ხარჯს“.

თითქმის საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ, თბილისის საკრებულომ, 26 ხმით 7-ის წინააღმდეგ, დასუფთავების ახალი ტარიფი — სულზე 2, 50-ლარი — მიიღო, რომელიც პირველი ივნისიდან ამოქმედდება. 4 და მეტსულიანი ოჯახები შეღავათით ისარგებლებენ და თვეში მხოლოდ 10 ლარს გადაიხდიან. იურიდიული პირები კი დასუფთავების საფასურს კვლავ ძველი ტარიფით გადაიხდიან.

რა კავშირი აქვს ლიტველი ბიზნესმენის დაჭერასთან დავით კეზერაშვილს

საულუს ვიატკიავიჩუსის საქმის უცნობი დეტალები — ვისი 2 მილიონი დოლარი მიითვისა, აფინანსებდა თუ არა ნაცმოძრაობას და რატომ გაათავისუფლეს სასამართლო დარბაზიდან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

31 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აეროპორტში დაკავებული ლიტველი ბიზნესმენი საულუს ვიატკიავიჩუსი, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ლიტველმა ბიზნესმენმა ქართულ მედიასთან საუბარი არ ისურვა, მისმა ადვოკატებმა კი განმარტეს, რომ ოფიციალურ განცხადებას მოგვიანებით გააკეთებენ. შეგახსენებთ: ოთხშაბათს, 26 მაისს, სამართალდამცავებმა, თბილისის აეროპორტში ლიტველი ბიზნესმენი, სუპერმარკეტების ქსელ „იოლისა“ და „პოპულის“ ყოფილი მფლობელი საულუს ვიატკიავიჩუსი დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, დაკავებულს ბრალი კომპანია „კავკასუს ელექტრო მარკეტის“ კუთვნილი თანხის — 2 000 000 აშშ დოლარის მითვისებაში, 182 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ედებოდა, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საბრალდებო დასკვნის ოფიციალური ნაწილი

ოფიციალური ინფორმაციით, საულუს ვიატკიავიჩუსმა, რომელიც კომპანია „კავკასუს ელექტრო მარკეტის“ დირექტორიც იყო, 2010 წლის ნოემბერში, კომპანიის კუთვნილი 2 000 000 აშშ დოლარი მიითვისა. გამოძიების ცნობით, „კავკასუს ელექტრო მარკეტსა“ და „აფთაუნ თბილისს“ შორის 2010 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სავაჭრო ცენტრში სავენტილაციო სისტემა უნდა დამონტაჟებულიყო. „კავკასუს ელექტრო მარკეტმა“, საულუს ვიატკიავიჩუსის ინიციატივით, სავენტილაციო სისტემების შესყიდვაზე ხელშეკრულება ოფშორში რეგისტრირებულ კომპანია „ვიტანასთან“ გააფორმა და წინასწარ, ავანსის სახით, 2 000 000 აშშ დოლარი გადაურიცხა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, „ვიტანასმა“, „კავკასუს ელექტრო მარკეტს“ სავენტილაციო სისტემა არ მიაწოდა, რადგან ეს თანხა — 2 000 000 აშშ დოლარი კომპანიის მაშინდელმა დირექტორმა საულუს ვიატკიავიჩუსმა მითვისა. პროკურატურის მტკიცებით, ბრალდება მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებითაა გამყარებული.

პროკურატურისვე ინფორმაციით, ლიტველი ბიზნესმენის დაკავების აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ იგი ქვეყნიდან გაქცევასა და მიმალვას აპირებდა. სასამართლოზე დაკავების ერთ-ერთ არგუმენტად ისიც დასახელდა, რომ საულუს ვიატკიავიჩუსს მხოლოდ ერთი მიმართულების ბილეთები აღმოაჩნდა — საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებდა. რაც მთავარია, ბიზნესმენმა საქართველოში, მის საკუთრებაში არსებული ქონება გაასხვისა.

პროკურორების არგუმენტებს ბიზნესმენის ადვოკატებმა აბსურდული უწოდეს. მათი თქმით, საულუს ვიატკიავიჩუსი საზღვარგარეთ იმიტომ მიდიოდა, რომ სპორტულ ღონისძიებაში უნდა მიეღო მონაწილეობა და საქართველოში შეჯიბრის დასრულებისთანავე დაბრუნდებოდა. რაც შეხება ქონების გასხვისებას, ადვოკატების ცნობით, ვიატკიავიჩუსი აქციების გარკვეულ ნაწილს კვლავ ფლობს „კავკასუს ელექტრო მარკეტში“, „ჯი ეს კონსალტინგში“, „კოპა გრუპსა“ და „ფუდ სერვის სოლუშენსში“.

ადვოკატების განცხადებით, დროა, პროკურორებმა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების ერთმანეთისგან გარჩევა ისწავლონ, რადგან ვიატკიავიჩუსსა და კომპანია „კავკასუს ელექტრო მარკეტს“ შორის 2 000 000 აშშ დოლარზე სამოქალაქო დავა მიმდინარეობს. ლიტველმა ბიზნესმენმა ეს დავა თბილისის სამოქალაქო სასამართლოში უკვე მოიგო, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში გრძელდება და ეს დავა სისხლის სამართლის საქმესთან კავშირში არაა.

ქართულ-ლიტვური ბიზნესის სკანდალური დეტალები

რამდენიმე დღის წინ, საულუს ვიატკიავიჩუსის მეუღლემ, ვაივა ვიატკიავიჩენემ ლიტვურ მედიას განუცხადა, რომ გამოძიება ბიზნესმენისა და ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის ყოფილ მრჩეველის, დარიუს იურგელიავიჩიუსით დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ დარიუს იურგელიავიჩიუსი ტელეკომპანია „პიკის“ მფლობელი იყო. რაც შეეხება საულუს ვიატკიავიჩუსს, ის ბალტიის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო კავშირის პრეზიდენტია და, როგორც მისი მეუღლე აცხადებს, სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებთან კავშირი სრულიად ბუნებრივად ჰქონდა.

რუსული სააგენტო „დელფი.რუ“-ს ცნობით, თავის დროზე, დარიუს იურგელიავიჩუსი ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. სააგენტოს ცნობითვე, იურგელიავიჩუსმა თანამდებობა იმ სკანდალის გამო დატოვა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტში დატრიალდა... სააგენტო „დელფი.რუ“ სკანდალის დეტალებს არ აკონკრეტებს.

ლიტველი ბიზნესმენი საქართველოში 2011 წლიდან გამოჩნდა და ლადო კვარაცხელიასგან „იოლი გასტრონომიის“ 80%-იანი წილი შეიძინა. იმ დროს ლადო კვარაცხელია აცხადებდა, რომ სავაჭრო ქსელი ფინანსური პრობლემების გამო გაყიდა, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა, კერძოდ, დავით კეზერაშვილმა მას სუპერმარკეტების ქსელი „იოლი“ წაართვეს და მხოლოდ წარმოება „იოლი“ და „სამგორი ალკო“ დაუტოვეს. ამ ამბებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 2012 წლის ზაფხულში, უმსხვილესი ლიტვური ქსელ „ლოლი გასტრონომიის“ მფლობელი „იოლი გასტრონომია“ სუპერმარკეტების ქსელ „პოპულის“ მფლობელი გახდა.

სხვათა შორის, ქართული რითეილის (საცალო) ბაზარი სწორედ 2012 წელს, ანუ მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც „იოლსა“ და „პოპულს“ ლიტვური „ლოლი გასტრონომია“ დაეუფლა. რამდენიმე თვეში კი, ბაზარზე უმსხვილესი ევროპული ბრენდი „კარფურიც“ გამოჩნდა, რომელმაც პირველი სუპერმარკეტი „თბილისი მოლში“, 2012 წლის სექტემბერში გაიხსნა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი ამ ბაზარზე უკრაინული „ფურშეტი“ შემოდის, რომლის ქართველი პარტნიორი, როგორც უკრაინული სააგენტო „აგროპერსპექტივა“ იუწყება, ფარმაცევტული კომპანია „პე ეს პეა“. ამავე სააგენტოს ცნობით, „ფურშეტი“ ქართული ბაზრით იმიტომ დაინტერესდა, რომ საქართველოში კონკურენცია არ არის. რაც მთავარია, კომპანია „ფურშეტი“ უკრაინაში ვეღარ ვითარდება, რადგან „ინვესტბანკის“ მიმართ საკმაოდ დიდი დავალიანება დაუგროვდა.

დასასრული მე-7 გვერდზე

„უნიქარდით“ ქულების დაგროვებას „ვისოლის“ გაზგასამართ სადგურებზეც შეძლებთ

ამიერიდან, კომპანია „ვისოლი“ ერთგულ მომხმარებელს „უნიქარდით“ ბონუს-ქულების დაგროვებას გაზგასამართ სადგურებზეც სთავაზობს. თუ ყველაზე ეკონომიურ და ეკოლოგიურად სუფთა საწვავს შეიძენთ, კომპანია საშუალებას გაძლევთ, „უნიქარდის“ ქულები დააგროვოთ და საჩუქრებიც მიიღოთ.

„ვისოლი“ და „უნიქარდი“ ექსკლუზიური პარტნიორები 2010 წლის აპრილიდან გახდნენ. „უნიქარდის“ დაგროვებითი ბარათის მფლობელთა შორის, „ვისოლის“ ქსელში რეალიზებული საწვავის შესყიდვა, ბონუს-ქულების ერთ-ერთი, ყველაზე მიმზიდველი და სწრაფი საშუალებაა. დაგროვებული ქულების სანაცვლოდ, სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად, შესაძლებელია, „ვისოლის“ საწვავიც მიიღოთ.

„მოგახსენებთ სასიამოვნო სიახლის შესახებ. კომპანია „ვისოლი“, „უნიქარდთან“ ერთად, 1 ივნისიდან ახორციელებს „უნიქარდის“ დაგროვებითი ბარათების ჩართვას ჩვენი ქსელის გაზგასამართ სადგურებზე. უკვე სამი წელია, ვთანამშრომლობთ„უნიქარდთან“ და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, დიდი სურვილი გაგვიჩნდა, ის აქტიურობა, რაც კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებზე გვქონდა, გაზგასამართ სადგურებზეც გაგვეთვალისწინებინა. ერთგული მომხმარებლების წახალისებასა და კმაყოფილებაზე კომპანია „ვისოლი“ არა მარტო უმაღლესი ხარისხის საავის, თუ მომსახურების მიწოდებით ზრუნავს, არამედ — დამატებით სარგებელსაც ვთავაზობთ. ამიერიდან, „ვისოლის“ ერთგულ მომხმარებელს უკვე კომპანიის გაზგასამართ სადგურებზეც ექნება საშუალება, „უნიქარდით“ ბონუს-ქულები დააგროვოს. მეტიც, ეს ორი კომპანია, „ვისოლი“ და „უნიქარდი“, ერთად უკეთ შევძლებთ მომხმარებლების სურვილების ასრულებას“, — აღნიშნა „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა **ვასილ ხორავამ**.

„უნიქარდი“ უნივერსალური დაგროვებითი ბარათია. ქულების დაგროვება შესაძლებელია სავაჭრო და მომსახურების სფეროს 1 000-ზე მეტ ობიექტში. „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანია „სმარტში“, მომხმარებელს შეუძლია, არა მხოლოდ ბონუს-ქულები დააგროვოს, არამედ — ამ ქულებით ნებისმიერი პროდუქტის შესყიდვასაც შეძლებს.

„ქსელს, რომელიც 1 000-ზე მეტ ობიექტს მოიცავს, ახლა „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურების ქსელიც დაემატა. „უნიქარდის“ ფუნქციონირების დღიდან ვთანამშროლობთ კომპანია „ვისოლთან“ და ჩვენი პარტნიორობა უკვე სამ წელს ითვლის. მართალია, აქამდე მომხმარებელს მხოლოდ „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებზე შეეძლო ქულების დაგროვება, მაგრამ 1 ივნისიდან „უნიქარდი“ გაზგასამართი სადგურების ქსელშიც ჩაერთო. „ვისოლი“ ყოველთვის გამოირჩეოდა მომსახურების მაღალი ხარისხით და ამიერიდან, ავტომფლობელები, რომლებიც ამ კომპანიის ხარისხიანი საწვავით სარგებლობენ, შეძლებენ ქულების დაგროვებასაც. ეს ნიშნავს, რომ მათი ლოიალობაც გაიზრდება კომპანიის მიმართ და, საბოლოო ჯამში, მომხმარებლის კმაყოფილების დონეც მოიმატებს“, — განაცხადა „უნიქარდის“ გენერალურმა დირექტორმა, **ბესო აბულაძემ**.

საქართველოში „ვისოლს“, ბრენდირებული გაზგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს. გაზგასამართი სადგურები წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, გორში, ბორჯომში, ბათუმში, თელავში, ხაშურში, ზესტაფონსა და საჩხერეში. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ერთადერთი ნავთობკომპანიაა ქვეყანაში, რომელმაც ინტეგრირებული ავტოგასამართი სადგურების ქსელი დანერგა. ავტომფლობელებს საშუალება აქვთ, საკუთარი ავტომობილები ამ ინტეგრირებულ ქსელში არა მარტო ბენზინისა და დიზელის საწვავით, არამედ — შეკუმშული ბუნებრივი გაზითაც გამართონ. კომპანია „ვისოლი“ შეკუმშულ ბუნებრივ გაზს მომხმარებლებს 2007 წლიდან სთავაზობს.

მაია მიშელაძე

რა კავშირი აქვს ლიტველი ბიზნესმენის დაჭერასთან დავით კეზერაშვილს

მე-6 გვერდიდან

„ფურშეტის“ ძირითადი მფლობელი იგორ ბალენკოა, 20%-იან წილს ფრანგული კომპანია „აუჩანი“ ფლობს. თავის მხრივ, „აუჩანი“ საქართველოში „გუდვილისა“ და „ჯი მარტის“ შეძენას აპირებდა.

როგორც ჩანს, „იოლისა“ და „პოპულის“ ლიტველმა მფლობელმა, საქართველოს რითეილის ბაზარზე უმსხვილესი ევროპული კომპანიების შემოსვლით გამოწვეულ კონკურენციას ვეღარ გაუძლო და რამდენიმე თვის წინ, ორივე კომპანია გაყიდა. გარიგება 2013 წლის თებერვალში შედგა და ერთი ქოლგისქვეშ გაერთიანებული სუპერმარკეტების ქსელში ლიტვური ჯგუფი, კომანდიტურმა საზოგადოებამ SEAF Caucasus Growth Fund L.P.-მ და აშშ-ში რეგისტრირებულმა „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდმა“ ჩაანაცვლეს. კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ცვლილებით, SEAF, სავაჭრო ქსელების მფლობელ კომპანიაში 95%-იან წილს, „რეგიონული განვითარების ფონდი“ კი 5%-ს ფლობს. კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L. P. კაიმანის კუნძულებზეა რეგისტრირებული.

ცვლილებების მიუხედავად, „პოპული“ იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ 2013 წლის 20 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, გადახდისუუნარობის საქმე განიხილა. სასამართლოს შპს „ენგადისა“ და ს/ს „წყალი მარგებელის“ წარმომადგენლებმა გრიგოლ გოგოლაძემ და როინ მიგრიაულმა მიმართეს და „პოპულის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება მოითხოვეს. „საქართველოს მაცნეში“ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, მოვალეს (ამ შემთხვევაში, „პოპულს“) არ გააჩნია უნარი, გადაიხადოს ვადამოსული დავალებები:

„მოვალის მთელი ქონება დატვირთულია იპოთეკითა და გირავნობით. ქონების უფლებრივი შეზღუდვის გამო, მოვალე ვერ შეძლებს დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვასა და ვალების გასტუმრებას. ქონების დაყადაღების გამო, მისი ქონების რეალიზაცია შეუძლებელია, რათა არსებული და მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს. მოვალეს არ გააჩნია იმ ოდენობის საკუთარი ქონება, რომ შეძლოს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში მათი უზრუნველყოფით ვალების გასტუმრებისათვის საკმარისი სესხების აღება. მოვალე შეყვანილია მოვალეთა რეესტრში, რაც აფერხებს მესამე პირებთან მოვალის სამართლებრივ თანამშრომლობას. სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება, თანდართული დოკუმენტები და დაადგინა: ს/ს „წყალი მარგებლისა“ და შპს „ენგადის“ განცხადება ს/ს „პოპულის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, მიღებულ იქნეს სასამართლოს წარმოებაში. მეურვედ დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — აღსრულების ეროვნული ბიურო. აეკრძალოს მოვალეს ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე. განემარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ და წარუდგინოს იგი სასამართლოს. შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან. დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ. თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად დადოს ხელშეკრულებები და ისარგებლოს მესამე პირების მომსახურებით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში, მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მეურვეს წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისთვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა იწვევს წარდგენაზე ვალდებული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ აგრეთვე კრედიტორებს. შეჩერდეს ს/ს „პოპულის“ მიმართ იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და აიკრძალოს იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აიკრძალოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავის (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა. განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში, წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები მათი წარმოშობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პუტინს წერილი გაუგზავნა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე ვლადიმერ პუტინს წერილს უგზავნის.

„თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, გამოვთქვამთ შეშფოთებას რუსი ჯარისკაცების მიერ სოფელ დიცთან საქართველოს დროებითი საზღვრის გადმოწევის გამო. ეს არის ჩვენი მოსახლეობისთვის მეტად მტკივნეული და მოულოდნელი ქმედება, მით უმეტეს, იმ მცდელობის ფონზე, რასაც ჩვენი ქვეყნები ურთიერთობის ნორმალიზებისთვის აკეთებენ და რაც საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენთვის ადვილად განსახორციელებელი არ არის. ვიმედოვნებთ, თქვენ სწორ შეფასებას მისცემთ შექმნილ ვითარებას და მიიღებთ სათანადო ზომებს აღნიშნული მდგომარეობის დროულად გამოსწორებისთვის“, — ნათქვამია პატრიარქის წერილში.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტს პარტნიორებისთვის საიდუმლოს გამჟღავნების უფლება ჩამოერთმევა

თავდაცვის სამინისტრო პარტნიორებისთვის ოპერატიული საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის საკითხს პრეზიდენტის გარეშე გადაწყვეტს — პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში ცვლილებებს განიხილავს, რომელიც სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე პარტნიორებისთვის ოპერატიული ინფორმაციის გადაცემის პროცედურის გამარტივებას ეხება.

მოქმედი ნორმებით, უცხო ქვეყნისთვის საიდუმლო ინფორმაციის მისაწოდებლად აუცილებელია საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება ან ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულება.

„რეალობაა, რომ სამშვიდობო მისიის შესრულებისას, პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა გვიწევს. წარმოიდგინეთ, ამჟამად რა ვითარებაა: გარკვეული ოპერაციის დასაგეგმად და შესასრულებლად საჭიროა რაღაც ინფორმაციის გაცემა და შესაბამისად, პრეზიდენტის ნებართვა. იგი მთავარსარდალია, მაგრამ ამ საქმის სპეციალისტი ხომ არ არის? ამიტომ, რჩევა უნდა ჰკითხოს თავდაცვის სამინისტროს, არადა, თხოვნაც ხომ მათგან მოვიდა? ოპერატიულობა იკარგება“, — ამბობს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციას ეთანხმება და აცხადებს, რომ კანონი მკაფიოდ უნდა არეგულირებდეს, რა ტიპის საიდუმლო ინფორმაციის გაცემა შეიძლება, რა შემთხვევაში და ვის მიერ.

„საიდუმლო ინფორმაციის ფლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვიღაც ჩინოვნიკის შეცდომას სახელმწიფოს ინტერესები, სამხედრო ოპერაცია ან ჯარისკაცის სიცოცხლე არ უნდა ემსხვერპლოს. ალბათ, გახსოვთ: 2008 წლის ომის შემდეგ ხმა დაირხა, რომ ისრაელმა რუსეთს ჩვენი უპილოტო თვითმფრინავების საიდუმლო კოდები გადასცა. არადა, ისრაელი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა... მსგავსი გაუგებრობა არ უნდა ხდებოდეს... საიდუმლო ინფორმაციის გაცემისას, ყველაზე ერთგულ მოკავშირესთანაც კი, უნდა ვხელმძღვანელობდეთ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და არა — პრინციპით: „გვთხოვა და გადავეცით“. ჯერ ნატო-ს წევრი არ ვართ, ამიტომ, ამ კუთხით, პოლიტიკის შერჩევისას მეტი თავისუფლება გვაქვს. საერთოდ, კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ მთლიანად შესაცვლელია — ის თავის დროზე, სსრკ-ს დროინდელი კანონის მიხედვით შეიქმნა და მოძველებულია“, — აცხადებს თავდგირიძე.

პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე ცვლილებათა პაკეტს უმცირესობიდან მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რაც იმას ნიშნავს, პარლამენტი პრეზიდენტს მალე კიდევ ერთ უფლებას ჩამოართმევს... პრეზიდენტის უფლებამოსილებათა არეალი დღითიდღე მცირდება.

მირიან ლებანიძე

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანები დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის 1000-ლარიანი პენსიის დანიშვნას ითხოვენ



მერაბ ბერიძე

ნორმალურ ქვეყანაში ომის ვეტერანები ღირსეულად ცხოვრობენ, რაც ახალგაზრდა თაობისთვის მაგალითია. საქართველოში კი ყველაფერი პირიქითაა: ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები თვეში 22 ლარის იმედად არიან, ვეტერანთა ერთადერთი ჰოსპიტალი კი დანგრევის პირასაა. ეს სამარცხვინო მდგომარეობა დროზე უნდა გამოსწორდეს. არსებულ რეალობასა და სამომავლო პერსპექტივებზე „ვერსია“ ომის ვეტერანთა გაერთიანების წარმომადგენელს, რეზერვის პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილს ესაუბრა.

— რამდენიმე თვის წინ, ჭადრაკის სასახლეში ჩატარებულ ვეტერანთა შეკრებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო და ბრძანა, რომ სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნებოდა, რომელიც ვეტერანთა პრობლემების მოგვარებაზე იმუშავებდა. ვეტერანთა რამდენიმე ათეულმა ორგანიზაციამ თავდაცვის მინისტრს კონფერენციის ჩატარებაში ხელშეწყობაც სთხოვა. ეს კონფერენცია თავდაცვის სამინისტროში მართლაც ჩატარდა, სადაც ალასანიამ კომისიის შექმნის აუცილებლობა კიდევ ერთხელ გააჟღერა და ისიც აღნიშნა, რომ კომისია, არჩევნების გზით, სხვადასხვა ორგანიზაციიდან მაღალი ნდობის მქონე ვეტერანები უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. არჩევნები ჩატარდა და ორგანიზაციებმა ოთხი ადამიანი წარადგინეს, მათ შორის მეც. ამ პროცესმა ვეტერანებში დადებითი განწყობა შექმნა.

კომისია მინისტრთა კაბინეტის 210-ე განკარგულებით შეიქმნა და ყველა ელოდა, რომ აქტიურად იმუშავებდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა. მოვითხოვეთ, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტი გენშტაბიდან მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში გადასულიყო, რაზეც დაგვთანხმდნენ. საერთოდ, დეპარტამენტი, გენშტაბის ნებართვის გარეშე, ყვავილსაც კი ვერ შეიძენს, რომ გარდაცვლილი ბიჭების საფლავზე მიიტანოს.

პირველი შეკრების შემდეგ, კომისიამ მუშაობა სამი თვე, პრაქტიკულად, შეაჩერა.

— რატომ?

— გაურკვეველი მიზეზების გამო. კომისიის წევრებთან დაკავშირებას მუდმივად ვცდილობდით და ხმას იმ ორგანოებს ვაწვდენდით, რომლებსაც კომისიის მუშაობაზე თვალყურის დევნება ევალებოდათ, მაგრამ ჩვენს შორის რკინის ღობე აღიმართა. როგორც ჩანს, ერთი შეკრება ჩვენს გარეშე გამართეს და აბსურდული გადაწყვეტილება მიიღეს — ინვალიდობის პენსია ომში დაინვალიდებულთა მხოლოდ ერთ კატეგორიას მოემატა. როცა ამ გადაწყვეტილების შესახებ შევიტყვეთ, გავოცდით — ამ ხელოვნური დაყოფით ბიჭები აღშფოთდნენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჭადრაკის სახლში კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ და 210-ე განკარგულების აღდგენა — კომისიის მუშაობის გაგრძელება მოვითხოვეთ. ამასთან, კანონპროექტის სახით, მთავრობისთვის წინადადებები შევიმუშავეთ.

— ქალბატონო დოდო, ამ სფეროში რა საკანონმდებლო რეგულაციები მოქმედებს?

— საინტერესოა, რომ კანონი ვეტერანების შესახებ, პრაქტიკულად, არ არსებობს. არის ცალკეული, გაბნეული განკარგულებები და შევეცადეთ, ვეტერანების შესახებ კანონის მოდელი შეგვექნა, რომელშიც მთავრობა გარკვეულ შესწორებას შეიტანს, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ კანონი ხელისუფლებას ვეტერანთა ღირსების დაცვას უნდა ავალდებულებდეს!

— როგორ შეიძლება, სახელმწიფომ ვეტერანის ღირსება და უფლებები დაიცვას?

— დღეს ომის ვეტერანს თვეში 22 ლარი აქვს; დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს — 46 ლარი. რადგან ვეტერანს დაზღვევა არ გააჩნია, ამ 22 ლარით უნდა მოახერხოს და, წამალიც იყიდოს, ოპერაციაც გაიკეთოს, ოჯახი, საკუთარი თავი გამოკვებოს... სხვათა შორის, ვეტერანთა ერთადერთი ჰოსპიტალი, რომელიც ქალაქის ცენტრში, იამანიძის ქუჩაზე მდებარეობს, დანგრევის პირასაა. ჰოსპიტლის ადმინისტრაცია — დირექტორი, ექიმები, სანიტრები არიან ადამიანები, რომელთა კისერზეც გადადის სპეციფიკური სიძნელე, რაც ვეტერანთა მდგომარეობას ახლავს. წელიწადში ჰოსპიტალს რვაასი ათასლარიანი დაფინანსება აქვს და ამით უნდა გაისტუმროს ყველა ხარჯი — კომუნალური გადასახადი, ხელფასები, პაციენტები გამოკვებოს და წამლებიც შეუძინოს. ჰოსპიტლის მედპერსონალი, პრაქტიკულად, ანაზღაურების გარეშე — 115-140-ლარიანი ხელფასით ვეტერანების სიცოცხლის სადარაჯოზე დგას.

გარდა ამისა, ბევრი გაუბედურებული და უსახლკაროდ დარჩენილი ვეტერანი გვყავს. ისინი ვაზიანში, გადაუხურავ შენობაში ცხოვრობენ, სადაც არც გაზია, არც — წყალი და არც — სველი წერტილები. ვეტერანთა ოჯახის წევრები, დანგრეულ ოთახებში შეზლონგებს შლიან და ისე იძინებენ. სხვა უამრავი პრობლემაა, რაც დროულ გადაწყვეტას საჭიროებს.

ევროატლანტიკურ სივრცეში, ნატო-ში გაწევრიანებას ვაპირებთ და ვეტერანების მიმართ ასეთი დამოკიდებულების გაგრძელება წარმოუდგენელია.

— რას აპირებთ და რას ელით ხელისუფლებისგან?

— 25 მაისს, ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეკრებას, ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ — დავით საგანელიძე, დავით უსუფაშვილის თანაშემწეები, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტაცია, ყველა სამხედრო შენაერთი, გენერალიტეტი და საზოგადოებისთვის საამაყო ადამიანები — ხელოვანები, მწერლები, რეჟისორები. ირაკლი ალასანია შეკრებას იმის გამო ვერ დაესწრო, რომ ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. პროფესიით ექიმმა დავით საგანელიძემ დაგვაიმედა, რომ როგორც ჰოსპიტლის, ასევე, მათხოვრული 22-ლარის პრობლემა გადაწყდება. ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ხედვები გვაქვს და კონკრეტული ციფრებიც დავდეთ, რომ ვეტერანის სიცოცხლის უფლება დაცული იყოს — მიიღოს თუნდაც ის საარსებო მინიმუმი, რომელიც ქვეყანაშია დადგენილი. ასევე, საუბარი იყო ვეტერანების საცხოვრისთან დაკავშირებითაც.

პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეებმა დიდი დაინტერესება გამოხატეს და, პროექტის სახით, ჩვენი წინადადებები გადავეცით. ამ შეხვედრაზე სხვა უამრავი საკითხიც გამოიკვეთა. ნურავის გაუკვირდება, რომ ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის ათასლარიანი პენსიის დანიშვნას გულისხმობს — ეს იმის მაგალითი იქნება, რომ ხელისუფლება და საზოგადოება სათანადოდ აფასებს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაცემულ მეომრებს, მათ ოჯახებს, ასევე ცოცხლად, გადარჩენილ, დაინვალიდებულ ბიჭებს. ეს სამაგალითო იქნება მომავალი თაობისთვის იმ ფონზე, როცა ჩვენი სამშობლოს ლამის მეოთხედი რუსეთს აქვს ოკუპირებული.

მოკლედ, იმედიანად ვართ, შეხვედრაზეც განვაცხადეთ, რომ ერთ თვეში კვლავ შევიკრიბებით და ანგარიშს წარვადგენთ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ხელისუფლების, მთავრობის მიერ ვეტერანებთან მიმართებაში.

მზრუნველობამოკლებული მოზარდები კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს დაესწრნენ

ახლადდაფუძნებულმა მენეჯმენტ კომპანია „სიბიეს ჯგუფმა“ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს საჩუქარი გაუკეთა — „სიბიეს ჯგუფის“ ინიციატივით, მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელებს კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის ბილეთები გადაეცათ.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქველმოქმედო ფონდის — „საქართველოს კარიტასის“ ხელშეწყობით, „სიბიეს ჯგუფმა“ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მაჩტზე ის მოზარდები დაპატიჟა, რომლებიც ფეხბურთის აქტიური გულშემატკივრები არიან.

„სიბიეს ჯგუფისა“ და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მატჩზე დასასწრები ბილეთები, მაისურები, ბურთები და ტორტი გადასცეს. როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები ამბობენ, მათთვის მოულოდნელი იყო მსგავსი საჩუქარი და ისინი დიდი სიხარულით დაესწრნენ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს: „ჩვენ გვიხარია, რომ მსოფლიო დონის ფეხბურთის ვარსკვლავები ჩვენი თვალით ვიხილეთ“.

ნინო პოტრჟებსკაია, „სიბიეს ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „სიბიეს ჯგუფი“ გახლავთ ახლადდაფუძნებული მენეჯმენტ კომპანია, რომელიც ოპერირებას უწევს ბაზარზე მოთამაშე რამდენიმე მსხვილ კომპანიას. ჩვენ ვართ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელნი, ჩვენი ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ ხელშეწყობით, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საშუალება მიეცათ, კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს დასწრებოდნენ, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ მოზარდების საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია“.

ეკა სანეგლიძე, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დეპარტამენტის უფროსი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მზრუნველობამოკლებული მოზარდები აქტიურად ჩაერთონ სოციალურ პროექტებში და ამ მხრივ, ბიზნესის მონაწილეობა მისასალმებელია. ფეხბურთისმოყვარულ მოზარდებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს და საკუთარი თვალით ენახათ მსოფლიო დონის ფეხბურთის ვარსკვლავები, რაც მათთვის ძალიან კარგი საჩუქარია.“

„სი ბი ეს ჯგუფი“ 2013 წლის 25 მარტს დაარსდა. „სიბიეს ჯგუფი“ მენეჯმენტს უწევს შემდეგ კომპანიებს: „კავკასუს ონლაინი“, „თბილისის მიკროავტობუსი“, „რკინიგზის ტელეკომი“, „GMS ჯგუფი“, რესტორნების ქსელი და ლუდსახარში „მირზაანი“, სასტუმრო „ინტურისტ პალასი“, Black Sea Product.

„სიბიეს ჯგუფის“ პრიორიტეტებია:

- უნიკალური, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გზით ბაზარზე დავიმკვიდროთ კონკურენტული უპირატესობა;
- ვმართოთ ბიზნესშესაძლებლობები და მობილიზაცია გავუწიოთ ჯგუფში შემავალ კომპანიებს;
- ხელი შევუწყოთ პერსონალის ზრდას;
- ვიყოთ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელნი.

„სიბიეს ჯგუფი“ მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს სოციალური პროექტების განხორციელებას.

სპეციალური აპარატი დიაბეტით დაავადებულთათვის, რომლითაც ინსულინის ორგანიზმში შეყვანა ჩხვლეტის გარეშე შეიძლება!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

საქართველოში დიაბეტით ასობით ათასი ადამიანია დაავადებული. აქედან, ნაწილი ინსულინზეა, რაც პრობლემას განსაკუთრებით ბავშვებს უქმნის — დღეში რამდენჯერმე ნემსის გაკეთება არცთუ სასიამოვნოა. უცხოეთში „ნემსის გაკეთების“ პრობლემა მოხსნილია — ადამიანი სხეულზე სპეციალურ აპარატს იმაგრებს, რომელიც ორგანიზმს საჭირო რაოდენობის ინსულინს უმტკივნეულოდ აწვდის. ეს მეთოდი ფეხს ნელ-ნელა საქართველოშიც იკიდებს.

ნინო ნადირაძე, დიაბეტის, ენდოკრინული და გულფილტვის დაავადებათა ცენტრის ექიმი-ენდოკრინოლოგი:

— ინსულინის ტუმბოს საშუალებით, ორგანიზმს ინსულინი 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად მიეწოდება. აპარატს ინსულინის მიწოდების რამდენიმე რეჟიმი აქვს და პაციენტი სასურველ რეჟიმს ირჩევს.

ტიპი 1 დიაბეტის დროს, როცა პაციენტი ინსულინთერაპიაზეა, ორი სახის რეჟიმი არსებობს: ბაზალური რეჟიმის დროს, ორგანიზმს ინსულინი, მიუხედავად იმისა, პაციენტი ჭამს თუ არა, მაინც მიეწოდება. კვების დროს დამატებითი ინსულინი გამოიყოფა, რომელსაც ინსულინის ბოლუსური გამოყოფა ჰქვია. ტუმბოს მუშაობისას ორივე რეჟიმი გამოიყენება.

— ამ აპარატს, შპრიცკალამთან შედარებით, რა უპირატესობა აქვს?

— „ლანტუსის“ გამოყენების შემთხვევაში, შპრიცკალმის საშუალებით, ორგანიზმში ერთი ჩხვლეტით, 24 საათის განმავლობაში, ინსულინის ბაზალური დონე ანუ დიდი რაოდენობით ინსულინი ხვდება. ბოლო თაობის ინსულინ „ლანტუსს“ ჰიპოგლიკემია არ ახასიათებს, მაგრამ ჰიპოგლიკემიის შემთხვევები მაინც გვაქვს. ტუმბოს საშუალებით კი, ინსულინის შეყვანა 24 საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ამასთან, ტუმბო საშუალებას გვაძლევს, ის პროგრამაც ჩავტვირთოთ, რომლის საშუალებითაც პაციენტს, თუკი აღარ სჭირდება, ინსულინის მიწოდება ავტომატურად შეუწყდება, რითიც თავიდან ჰიპოგლიკემიას ავიცილებთ. ასევე, არსებობს ინსულინის მიწოდების ბოლუსური რეჟიმი — პაციენტმა შპრიცკალმით ინსულინი მაშინ უნდა გაიკეთოს, როცა ჭამს ანუ დიაბეტით დაავადებულმა ინსულინი დღეში სამჯერ, ჭამის წინ უნდა გაიკეთოს. ინსულინის ტუმბოს საშუალებით კი, ჩხვლეტა თავიდან გვაქვს აცილებული — შეგვიძლია, მაგალითად, 4 ერთეული ინსულინის დოზა რამდენიმე საათზე გადავანაწილოთ, რათა ინსულინი სისხლში ნელ-ნელა შევიდეს და არა — ერთბაშად. ინსულინის დოზის გაზრდა ან შემცირება იმის მიხედვითაც შეგვიძლია, პაციენტი საკვების რა რაციონს იღებს. ამის გაკეთება შპრიცკალმით შეუძლებელია.

— ტუმბო სად მონტაჟდება?

— კანქვეშ სპეციალური კანულა მაგრდება. ტუმბო კი, ბევრ მობილურზე უფრო პატარა, ძალიან კომფორტული სატარებელია და, ძირითადად, მუცლის არეში მაგრდება, თუმცა შეიძლება, მკლავზე, ბარძაყსა და საჯდომზეც დამაგრდეს. ტუმბო კატეტერით კანქვეშ დამაგრებულ კანულაზეა მიერთებული, მოპირდაპირე მხარეს, ასევე კანქვეშ სენსორი მაგრდება, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში, 24-საათიან რეჟიმში, სისხლში შაქრის ოდენობას ზომავს, გლიკემიის რაოდენობასაც გვიჩვენებს და ეს შედეგები ეკრანზე გამოაქვს.

— კატეტერი ყოველ მესამე დღეს უნდა გამოიცვალოს. ამის გაკეთება პაციენტს დამოუკიდებლად შეუძლია?

— დიახ.

— ბანაობისას პაციენტმა აპარატი უნდა მოიხსნას?

— რასაკვირველია.

— გამოდის, პაციენტს ინსულინის მიწოდება რაღაც პერიოდის განმავლობაში შეუწყდება, ეს საშიში არაა?

— არა. ფიზიკური დატვირთვის დროს, ინსულინის მიწოდება ისედაც უნდა შეწყდეს, რადგან ამ დროს, დიდი რაოდენობით ენერგია იხარჯება და პაციენტი ჰიპოგლიკემიაში ჩავარდება.

ამ აპარატს კიდევ ერთი კარგი ფუნქცია აქვს: თუკი პაციენტი ერთდროულად ტუმბოთი და სენსორით სარგებლობს და მისი გლიკემია იმ მომენტში 50-ზე ნაკლებია, ტუმბო ორგანიზმში ინსულინის მიწოდებას წყვეტს, პაციენტს აფრთხილებს, რომ სისხლში გლუკოზის მაჩვენებელი დაბალია და უნდა ჭამოს.

— ამ აპარატის წყალობით, პაციენტი დღეში რამდენიმე ჩხვლეტას არიდებს თავს?

— დიაბეტით დაავადებული პაციენტი დღეში, წესით, სისხლს ხუთჯერ უნდა იზომავდეს, რასაც, ბაზალური ინსულინის შეყვანის შემთხვევაში, კიდევ ერთი, ბოლუსური ინსულინის შეყვანისას კი, სამჯერ ჩხვლეტა ემატება. ეს აპარატი კი პაციენტს დისკომფორტისგან ათავისუფლებს. ტუმბოში 300 ერთეული ინსულინი იტუმბება და როცა რეზერვუარში 20 ერთეულიღაა დარჩენილი, აპარატი პაციენტს ახსენებს, რომ ინსულინი თავდება. ამ მოწყობილობას უცხოეთში რამდენიმე ათწლეულია იყენებენ და შპრიცკალმით აღარავინ სარგებლობს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერჯერობით, ვერ დაინერგა იმიტომ, რომ ფინანსებთანაა დაკავშირებული...

— ეს აპარატი ბავშვებშიც გამოიყენება?

— რასაკვირველია, ყველასთვის ეფექტურია, განსაკუთრებით — ბავშვებსა და ორსულებში.

სიახლეები მართლმსაჯულებაში

მოქალაქეებთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე www.tcc.gov.ge ამოქმედდა ონლაინ კონსულტაციის ფუნქცია.

ნებისმიერი დაინტერესებული პირი ჩათის გამოყენებით დროის რეალურ რეჟიმში მიიღებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო თემაზე. ჩათის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს სასამართლოების სატელეფონო მომსახურების ცენტრი. საქართველოს სასამართლოების სატელეფონო მომსახურების ცენტრი მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00-დან 18:00 საათამდე. არასამუშაო დროს ჩათის ფუნქციით შესაძლებელია ელექტრონული წერილის სასამართლოსთვის გაგზავნა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში კი მანდატურის სამსახურის პროგრამა ამოქმედდა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა, სხდომის მდივნის მიერ დარბაზში წესრიგის დარღვევის ან დარღვევის საფრთხის შესახებ მანდატურისსამსახურისათვის ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა. მანდატურის სამსახური

მიიღებს ხმოვან და ტექსტურ შეტყობინებას, რის შემდეგაც რამდენიმე წამში

მოახდენს მასზე რეაგირებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ანდრია რაზმაძის სახელობის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელების მონაწილეობით და არასამთავრობო ორგანიზაცია "ლიბერალური კლუბი"-ს დახმარებით, ჭაბუა ამირეჯიბის რომანის "დათა თუთაშხია"-ს მიხედვით იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა. ღონისძიების მიმდინარეობისას მსჯელობა ეხებოდა ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის არქიფო სეთურის მიერ სხვა პერსონაჟების უფლებების დარღვევას. სხდომის დასრულებისას დამწრე პირებმა და მოსწავლეებმა პროცესი დადებითად შეაფასეს და მსგავსი ღონისძიებების ხშირად გამართვის სურვილი გამოთქვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებმა გამართეს იმიტირებული წინასასამართლო სხდომა, რა დროსაც მათ გაინაწილეს მოსამართლის, პროკურორების, ადვოკატების და ბრალდებულის როლები. მსგავსი ღონისძიებების მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა და მათში სამართლებრივი კულტურის ამაღლება. სხდომის დასრულებისას დამწრე პირებმა და სტუდენტებმა იმიტირებული პროცესი დადებითად შეაფასეს და მსგავსი ღონისძიებების ხშირად გამართვის სურვილი გამოთქვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სოფელ კურსების საჯარო სკოლის მოსწავლეებსაც უმასპინძლა. შეხვედრისას საუბარი შეეხებოდა საქართველოს საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეების განხილვის პროცედურებს. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს და ამ კატეგორიის საქმეთა წარმოების სპეციფიკას. მოსწავლეები დაინტერესდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმაციებით, რაზედაც მიიღეს შესაბამისი განმარტებები. შეხვედრის მიმდინარეობისას მოსწავლეები გაეცვნენ კომპიუტერულ თამაშს "სასამართლო", ასევე ვიდეორგოლებს - "სასამართლო გზამკვლევი" და "ვინ არის მოსამართლე", დასასრულს კი მათ დაურიგდათ ბროშურა "ბავშვი და სამართალი". ისინი კმაყოფილი დარჩნენ სასამართლოს თანამშრომელთა გულისხმიერებით, გაწეული დახმარებით და ამგვარი ღონისძიებების ხშირად გამართვის სურვილი გამოთქვეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლო მომავალშიც გეგმავს მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრების გამართვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაიმართება

უახლოეს დღეებში, თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში მე-4 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი დაიწყება. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული და 2 სათადარიგო მსაჯული. საქმის არსებით განხილვის შემდეგ 12 ნაფიცი მსაჯული ბრალდებულს გამოუტანს ვერდიქტს - გამამართლებელ ან გამამტყუნებელს.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალური იქნება. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა. სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის დაწყების თარიღი შერჩევის სხდომის დასრულების შემდგომ გახდება ცნობილი.

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მოუწევს მოისმინოს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ციალა ნიკოლაძის განზრახ მკვლელობისა და ელგუჯა ნიკოლაძის მკვლელობის მცდელობის საქმე. დანაშაულში ბრალდებული ვაჟა ა. მისთვის წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს და საქმე განსახილველად მისი მოთხოვნით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა.

2012 წლის 28 დეკემბერს, გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოსა და თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1949 წელს დაბადებული ციალა ნიკოლიძის განზრახ მკვლელობისთვის, 1963 წელს დაბადებული ვაჟა ა. დააკავეს.

ბრალდებულის დაკავებისთანავე სამართალდამცველებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ციალა ნიკოლიძის ოჯახსა და ვაჟა ა-ს ბახმაროს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართის გამო წლების განმავლობაში ჰქონდათ უთანხმოება. გამოძიების ინფორმაციით, 25 დეკემბერს, თბილისში, დაახლოებით 16:00 საათზე, ბახმაროს ქუჩაზე ვაჟა ა. ჩაუსაფრდა ციალა ნიკოლიძეს და ცეცხლსასროლი იარაღით, ზურგის არეში რამდენიმე გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა. ქალბატონი ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, დანაშაულის ადგილიდან ამოიღეს მკვლელობის იარაღი - "ნაგანის" სისტემის რევოლვერი, 4 ცალი მასრა და 2 ტყვიის გულა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) მუხლების პირველი და მეორე ნაწილებით მიმდინარეობდა.

ამჯერად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ნიკოლაძეების საქმეზე გამოტანილი ვერდიქტი მე-4 იქნება. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სასამართლოს" მიერ წინა სამ პროცესზე გამოტანილი ვერდიქტი გამამტყუნებელი იყო.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" შესატან ცვლილებათა პროექტს - ნაფიცი მსაჯულები და სასამართლო პროცესების საჯაროობა". მიღებული კანონის თანახმად, გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედების არეალი და გაიზარდა სამოქალაქო სასამართლოს" მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, ყოფილ თუ მოქმედ სახელმწიფო თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს. გარდა ამისა, გაფართოვდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედების არეალი, რომელიც თბილისსა და ქუთაისთან ერთად ბათუმსაც მოიცავს.

თუ ადრე მოქმედი კანონის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორი მუხლით - მკვლელობით დაკვალიფიცირებულ დანაშაულს განიხილავდა, ამჯერად, ნაფიც მსაჯულებს სხვა კატეგორიის დანაშაულების მოსმენაც მოუწევთ, თუ რა თქმა უნდა, სამოქალაქო სასამართლოს" ბრალდებული გამოუცხადებს ნდობას.

Project was prepared by „Public Initiatives Group“
Tel: 5 99 36 36 60;
Email: samartalis3@gmail.com

"გზა წარმატებისკენ" - პროექტი აჭარელი ბავშვებისთვის

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პირველი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტის - "აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა" მორიგი ეტაპი დასრულდა.

პროექტი, რომელიც ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერაა დაფინანსებული და არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი" ახორციელებს სამთვიანია და რამდენიმეეტაპიანი. პროექტის მიზანია აჭარის მაღალმთიანი რეგიონების - შუახევისა და ხულოს საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა. პროექტში ასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მათ ჩაუტარდათ "სამოქალაქო სწავლების" კურსი, სადაც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაციები არასრულწლოვანთა და ზოგადად, ადამიანის უფლებების თაობაზე; საჯარო სამსახურების საქმიანობის წესის შესახებ, სხვადასხვა სახის პრობლემების არსებობისას როგორ უნდა მიმართონ შესაბამის უწყებებს და რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ; მიიღეს ინფორმაციები სამართალდამცავი ორგანოების, მართლმსაჯულების განხორციელების და, ზოგადად, სახელისუფლებო შტოების უფლებებსა და მოვალეობებზე; ახალგაზრდებმა, როგორც მომავალმა საარჩევნო სუბიექტებმა, მიიღებეს ინფორმაციებს საარჩევნი პროცედურებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში; ახალგაზრდები ასევე, როგორც პოტენციური მომავალი ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზე, კონკრეტულად, ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობების შესახებ; მიიღეს ინფორმაციები განათლების, შრომისა და სოციალური გარანტიებისა და უფლებების შესახებ და სხვა აქტუალურ სამართლებრივ თემებზე. "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის" წარმომადგენელთა განცხადებით, სასწავლო კურსი ინტერაქტიულ რეჟიმში ჩატარდა და ბავშვებმა დიდი ინტერესი გამოხატეს მის მიმართ. ტრენერებმა პასუხი გასცეს მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას.

"ერთი დღე საჯარო სამსახურში" პროექტის მომდევნო ეტაპი ამ რუბრიკით განხორციელდა. გარდა თეორიული გაკვეთილებისა, ახალგაზრდებისთვის მოეწყო გასვლითი ღონისძიებები ბათუმში, სადაც ადგილზე გაეცვნენ საჯარო სამსახურების საქმიანობას. მოსწავლეებმა დაათვალიერეს საკონსტიტუციო სასამართლო და ბათუმის სასამართლოს გაეცვნენ, თუ როგორ და სად ხორციელდება მართლმსაჯულება. დაათვალიერეს ბათუმის იუსტიციის სახლი და მიიღეს ინფორმაციები იქ არსებული სერვისების თაობაზე. ღონისძიების ფარგლებში აჭარის მაღალმთიანი რეგიონების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა, ასამდე ახალგაზრდამ 1 დღით სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა და შეხვდნენ საჯარო მოხელეებს. მოსწავლეებმა დაათვალიერეს აჭარის მთავრობის რეზიდენცია, შეხვდნენ განათლების მინისტრს, მის მოადგილეებს, კულტურილი მემკვიდრეობის სააგენტოსა და ახალგაზრდობის და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლებს. ახალგაზრდებმა ყველა მათთვის საინტერესო საკითხზე მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

პრაქტიკულ საგანმანათლებლო ღონისძიებას "ერთი დღე საჯარო სამსახურში" დაესწრნენ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი და დირექტორის მოადგილე მურმან პატარაია. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ირაკლი ჟორჟოლიანმა და მურმან პატარაიამ ბავშვებს მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ. ისაუბრეს ფონდში საპროექტო განაცხადის შეტანის წესზე და ბავშვებს მათთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდეს - ფონდში საპროექტო განაცხადების შეტანისა და მათი რეგიონის განვითარებასა და მართვაში აქტიურად ჩართვისთვის.

პროექტი გრძელდება და მომდევნო ეტაპებზე ჩატარებული შემეცნებითი კონკურსების გამარჯვებულები გამოვლინდებიან. "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის" წარმომადგენლის, პროექტის დირექტორის ინგა ალავიძის განცხადებით, გამარჯვებული სამეული ფასიანი საჩუქრებით და წიგნებით დასაჩუქრდება. მისივე თქმით, პროექტის დასკვნით ეტაპზე ჩატარდება პროექტის ფარგლებში გამოცემული ჟურნალის პრეზენტაცია, რომელშიც პროექტის მონაწილე ბავშვების ნამუშევრები დაიბეჭდება.

აღსანიშნავია, რომ პროექტმა ბავშვების დიდი ინტერესი დაიმსახურა, რის გამოც ისინი საკმაოდ აქტიურად იყვნენ პროექტის განხორციელებაში ჩართული. ამის დასტურია ის, რომ პროექტის მონაწილე ბავშვებმა - შუახევის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა სოციალურ ქსელში დამოუკიდებლად შექმნეს სპეციალური გვერდი "გზა წარმატებისკენ", რომლითაც პროექტის მომავალ ეტაპს უკვე თავად წარმართავენ.

პროექტის დირექტორის განცხადებით, პროექტი წარმატებით განხორციელდა.

"პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, სახელმწიფომ ამ პროექტით კაპიტალი დააბანდა ახალგაზრდებში და დადებით შედეგს ისევ სახელმწიფო მიიღებს. აქ არაჩვეულებრივი ბავშვები ცხოვრობენ, ძალზე მოტივირებული ადამიანები, აქტიურად ჩაერთვნენ პროექტის მიმდინარეობაში. შედეგი, რომელიც უკვე მივიღეთ, მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროექტი წარმატებით შედგა - პროექტის მონაწილე ბავშვთა უმეტესობამ ძალზე საჭირო ინფორმაციები მიიღო და გაუჩნდა სამოქალაქო აქტიურობის მოტივაცია," - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ინგა ალავიძემ. მისივე თქმით, პროექტის განხორციელებაში მათ ძალზე დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს ცენტრების დირექტორებმა.

"არ შემიძლია არ ავღნიშნო შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის ზაურ დავითაძის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი. პროექტის წარმატებით განხორციელებაში ბატონი ზაურის დიდი წვლილიცაა, ის ძალიან დაგვეხმარა. შუახეველ ბავშვებს ძალიან გაუმართლათ, რადგან ჰყავთ ადამიანი, რომელიც მათ განვითარებასა და მომავალზე ფიქრობს და ზრუნავს. ძალზე დიდ მადლობას ვუხდიტ რესურსცენტრის წარმომადგენელს ქალბატონ რუსუდან შავაძეს, რომელიც ბატონი ზაურის მსგავსად თავდადებით შრომობს ბავშვების წარმატებისთვის. ამ ადამიანების თავდაუზოგავმა შრომამ და ზოგადად, დამოკიდებულებამ ბავშვების მიმართ აღგვაფრთოვანა," - ამბობს პროექტის დირექტორი, რომელიც დიდ მადლობას უხდის ბატონ ზაურსა და ქალბატონ რუსუდანს მხარდაჭერისთვის.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

აზერბაიჯანელები ფონიჭალაში მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებენ

მერეკ ბერიძე

ჩვენი ლიბერალური კანონმდებლობით, შესაძლოა, საქართველოს არაკეთილისმსურველებმაც ისარგებლონ — როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ქვეყანაში ვაჰაბიზმის დამკვიდრებას ცდილობენ, რასაც, უპირველესად, ადგილობრივი მშვიდობისმოყვარე მუსულმანი მოსახლეობა ეწინააღმდეგება. კერძოდ, სოფელ ფონიჭალაში მცხოვრები აზერბაიჯანელები ვაჰაბიტური მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებენ. „ფონიჭალაში, სოღანლუღში ვაჰაბიტების ადგილი არ არის!“, „ვაჰაბიტები რადიკალური დაჯგუფებაა. საქართველოში ამ ჯგუფების ადგილი არ არის!“, „თბილისის მერიამ სასწრაფოდ უნდა შეაჩეროს მეჩეთის სახელით მშენებარე რადიკალების ბუდე!“ — ამ ლოზუნგებით ორასამდე ფონიჭალელმა აზერბაიჯანელმა, ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელების“, სამოქალაქო განვითარების ცენტრის თავმჯდომარის, ფონიჭალის სკოლის დირექტორის აბაი ბაშაევისა და ფონიჭალის მეჩეთის ახუნდ რაჰიდ ქერიმოვის ინიციატივით, რამდენიმე დღის წინ, სოფლის სკოლასთან აქცია გამართა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

რა საფრთხეს უქმნის ვაჰაბიზმი საქართველოს

როგორც აბაი ბაშაევმა ჟურნალისტებს განუცხადა, სოფელში თითქმის ერთი თვეა, ვაჰაბიტები მეჩეთს აშენებენ. მოსახლეობა მშენებლობას ეწინააღმდეგება და მიაჩნია, რომ „ვაჰაბიტები არამუსულმანური მოძღვრებით აცდუნებენ სოფლის ახალგაზრდებს“. მისივე თქმით, სოფელში მეჩეთი აქვთ და ვისაც სურს, შეუძლია, იქ ილოცოს.

აქციის მონაწილეებმა თბილისის მერიას მიმართეს, რომ უკანონო მეჩეთის მშენებლობა შეაჩეროს — აღნიშნული მეჩეთი სკოლიდან, დაახლოებით, 50 მეტრში შენდება.

მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით მეორე მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია. დედაქალაქის მერიის განმარტებით კი, სოფელ ფონიჭალაში ვაჰაბიტური მეჩეთი კი არა, საცხოვრებელი სახლი შენდება. როგორც არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, მალხაზ კუნელაურმა განაცხადა, მერიამ მაისის დასაწყისში ვასიფ მამედოვის სახელზე გასცა ნებართვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ. მისივე თქმით, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ როგორ გამოიყენებს ფართს ნებართვის მფლობელი.

„ფართს საცხოვრებლად გამოიყენებ, არასაცხოვრებლად, სალოცავად, თუ სასტუმროს გახსნი, მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს. ადრინდელი პერიოდისგან განსხვავებით, ახლა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის გამიჯვნაც აღარ ხდება. ამ წუთას ფონიჭალაში სამართლებრივად და კანონიერად შენდება საცხოვრებელი სახლი. ჩვენ მეჩეთი არ შეგვითანხმებია, შევითანხმეთ საცხოვრებელი სახლი. არ შენდება მეჩეთი, შენდება საცხოვრებელი სახლი. მეპატრონე რად იყენებს ფართს, ეს უკვე მისი საქმეა“, — ამბობს კუნელაური.

პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ფონიჭალაში არსებული ვითარება არ უკვირს, რადგან, მისი თქმით, ხელისუფლების უყურადღებობის პირობებში, სხვადასხვა სექტა და რელიგიური ორგანიზაცია ქვეყანაში თავისუფლად მოქმედებს:

„უკეთეს ადგილს ვერ იპოვნიდნენ. ხელისუფლებას ამისთვის არ სცალია, რადგან თავისი პრობლემები აქვს — არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომ მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონდეს. ამ დროს, საკითხზე განცხადება უცხოური საელჩოს ზოგიერთმა წარმომადგენელმაც გააკეთა. რადგან ასეთი სახის რეაქციული, ვაჰაბიტური ორგანიზაციები მათ იდეოლოგიაშიც არ ჯდება. ისინი მიიჩნევენ, რომ ტენდენცია, უპირველესად, მათ წინააღმდეგაა მიმართული. თუ პროცესს მივუშვებთ და უკონტროლოს გავხდით, შეიძლება, არასასურველი შედეგების წინაშე დავდგეთ. სამეზობლოს თვალსაზრისით, აქ აზერბაიჯანი არ იგულისხმება. მოგეხსენებათ, ჩვენგან არცთუ შორსაა ირანი, კარის მეზობელია თურქეთი. ცოტა ქვემოთ არის ახლო აღმოსავლეთი, სადაც ამ რელიგიურ ნიადაგზე სერიოზული დაპირისპირება ხდება. ავიღოთ ჩრდილოკავკასია, სადაც ბოლო ხანს აგრესიულმა ვაჰაბიზმმა ძალიან მოიკიდა ფეხი... ცხადია, ყველაფერი ეს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. სიჩუმე თანხმობას ნიშნავს და ამიტომ, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ჩათვალეს, რომ აქ შეიძლება „საქმის კეთება“. ქართველი მუსულმანები, ძირითადად, სუნიტები არიან, ნაწილი შიიტია და, ღმერთმა არ ქნას, მათ შორის გაუგებრობა დაიწყოს... ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა ერაყში და კარგად ვიცით, სირიაშიც რა მდგომარეობაა — გარდა იმისა, რომ იქ ხელისუფლების წინააღმდეგ ომი მიმდინარეობს, ასევე, სუნიტებსა და შიიტებს, ალავიტებს შორის სისხლიანი დაპირისპირებაცაა. ყველაფერი ეს ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. ამ თემაზე სპეციალისტებიც უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ღმერთმა იცის, ასეთები არიან თუ არა.

რაც შეეხება ჩვენს ლიბერალურ კანონებს, ისინი, რომ იტყვიან, მოყვარეს შიგნით უბრმავებენ თვალს და მტერს — გარეთ. ესეც, ისევ და ისევ, საკითხის არცოდნითაა გამოწვეული, ამიტომ ცოტა სხვა მიდგომებია საჭირო... ასევე, თავისუფლად ხდება უცხოელებისთვის ქართული მიწების გადაცემა. ამ უსერიოზულეს პრობლემებს კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით უნდა ეშველოს. დესპოტურ კანონებზე არ ვსაუბრობ, მარამ საქმის ზედაპირულად კეთება, ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს“.

რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ, როცა დუდაევის „იჩქერიელებმა“ დამპყრობლებს კუდით ქვა ასროლინეს, კავკასიაში ვაჰაბიტების ნამდვილი ბუმი დაიწყო. იმხანად, ჩრდილოკავკასიაზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოსა და აზერბაიჯანში ფეხის ყოველ ნაბიჯზე ნახავდით მოკლეშარვლიან, წვერმოშვებულ ვაჰაბიტებს. ერთხელაც, აზერბაიჯანის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მამა ალიევმა ისინი ერთად შეკრიბა, წვერი გააპარსვინა და მკაცრად გააფრთხილა, რომ „ჭკუით ყოფილიყვნენ“. როგორც ამბობენ, ამის შემდეგ, შესაბამისი კონტროლის პირობებში, ქვეყანაში ვაჰაბიტების აქტივობამ იკლო.

ასეთი რადიკალიზმი საჭირო არაა, მაგრამ სრული უკონტროლობა საქართველოს, მართლაც, ზედმეტი თავისტკივილის მეტს არაფერს მოუტანს. მისასალმებელია, რომ პრობლემაზე ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა ხმა აღიმაღლეს. ჯერი ხელისუფლების გონივრულ პოლიტიკაზეა...

10 ივნისიდან შეიძლება, კვერცხი გაძვირდეს?!

რა ელირება და რომელი ქვეყნიდან იმპორტირებულ პროდუქტს დასჭირდება სპეციალური ნებართვა

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ერთ კვირაში საქართველოში ზოგიერთი სასურსათო პროდუქტისა და ტრანზიტული ტვირთების შემოტანას სპეციალური ნებართვა დასჭირდება. იმის გასარკვევად, რა ცვლილებები შევიდა ნორმატიულ აქტებში და რა ნებართვაზეა ლაპარაკი, „ვერსია“ სურსათის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსს, მაკა შუბლაძეს დაუკავშირდა.

— საქართველოს მთავრობის რამდენიმე ნორმატიულ აქტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 10-11 ივნისიდან, ბავშვთა კვების პროდუქტების, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების, თევზისა და ზღვის პროდუქტების; რძისა და რძის პროდუქტების; საქონლის სუბპროდუქტების, კონსერვის, ძეხვის, მზა ხორცპროდუქტებისა და ფრინველის ხორცის იმპორტზე სპეციალური ვეტერინარული ნებართვა იქნება საჭირო. ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებაა კვერცხის იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებით: კვერცხის თითოეულ ერთეულზე მწარმოებელი ქვეყნისა და გამოშვების თარიღის აღნიშვნა მწარმოებელ ქვეყანაშივე მოხდება. შესაბამისად, თურქულ, მოლდოვურ, უკრაინულ და სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ კვერცხს ვეღარ მიაწერონ, რომ ქართულია.

— ადგილობრივმა გლეხებმა რა ქნან? — ამ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, ბაზარში ე.წ. შინაურ კვერცხს ვეღარ გამოიტანენ?

— დღევანდელი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუკი გლეხი კვერცხს არასისტემატურად ყიდის, ეს შეიძლება, ოჯახურ წარმოებად ჩაითვალოს. ოჯახური წარმოება კი ამ კუთხით კონტროლს არ ექვემდებარებიან, მაგრამ თუკი გლეხი კვერცხს სისტემატურად ყიდის, რეალიზაციის პირობებიც უნდა დაიცვას.

— ახალი რეგულაციები კვერცხს გააძვირებს?

— არა, რადგან კვერცხის იმპორტიორ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სპეციალური დანადგარი, რომლითაც კვერცხზე მისი მწარმოებელი ქვეყნისა და გამოშვების თარიღის დატანება მოხდება.

11 ივნისიდან ძალაში კიდევ ერთი ცვლილება შევა, რომელიც ნებართვის გაცემის პირობებს ეხება. აქამდე, იმ საწარმოებს, რომლებსაც სურსათის ხარისხის მართვის სისტემის დამადასტურებელი დოკუმენტი — აისო 22000 ჰქონდათ, შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, იმპორტის განხორციელება არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან, მაგალითად, ინდოეთიდანაც შეეძლოთ. ახალი ნორმატიული აქტით კი, 11 ივნისიდან, არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან იმპორტის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულია, სააგენტოს უფლებამოსილ პირს საწარმოს კონტროლი ადგილზე ჩაატარებინოს. ჩვენი სპეციალისტების კონტროლი, აისო 22000-ის შემთხვევაში, არ სჭირდება ისრაელს, შვეიცარიას, აშშ-სა და სხვა კეთილსაიმედო ქვეყნებს.

— ნებართვის აღება ბიზნესოპერატორს თითოეული იმპორტის განხორციელების შემთხვევაში დასჭირდება?

— ერთთვიანი ნებართვა იმ რაოდენობაზე გაიცემა, რა რაოდენობასაც ბიზნესოპერატორი მოითხოვს. მაგალითად, თუკი იმპორტიორი ნებართვას არასაიმედო ქვეყნიდან 10 ტონა ხორცის შემოტანაზე ითხოვს, ნებართვა 10 ტონაზე გაიცემა — შეუძლია, 10 ტონა ერთბაშად შემოიტანოს, ან — ეტაპობრივად. ნებართვა 50 ლარი ეღირება, დაჩქარებული წესით ანუ ერთ დღეში აღება კი — 100 ლარი. ნებართვის ფასი პროდუქციის რაოდენობაზე არაა დამოკიდებული.

— ეს ცვლილებები ტრანზიტულ გადაზიდვებსაც ეხება?

— დიახ. როცა ცოცხალი პირუტყვი არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან, საქართველოს გავლით, რომელიმე სხვა ქვეყანაში გადაჰყავთ, საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მიმღები ქვეყნისგან თანხმობას მოითხოვს, რომ ცოცხალი ტვირთი მისაღებად ნამდვილად მზადაა.

— რამდენიმე დღის წინ, პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა საკანონმდებლო ინიციატივა დააყენა და ცხოველთა სასაკლაოების გაუქმება მოითხოვა. დავითაშვილის განცხადებით, პირუტყვი, ეზოსა და მდელოს პირობებში, ვეტერინარის თანდასწრებით უნდა დაიკლას. სააგენტო პარლამენტარის ინიციატივას მხარს უჭერს?

— ამ ინიციატივას კანონპროექტის სახე აქვს, თუმცა ჩვენი და, საერთოდ, ყველა განვითარებული ქვეყნის მიდგომაა, რომ პირუტყვი აუცილებლად სასაკლაოზე დაიკლას. სასაკლაო არის საწარმო, რომელიც შესაბამის ჰიგიენურ-სანიტარულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და მას ზედამხედველობას სახელმწიფო ვეტერინარი უწვეს. პირუტყვის ეზოსა და მდელოზე დაკვლისას, ის პირობები და მოთხოვნები, რომელიც უსაფრთხო პროდუქტის მისაღებადაა აუცილებელი, დაცული, ალბათ, არ იქნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაკვლის პროცესს ვეტერინარი უნდა დაესწროს, ამდენი ადამიანური რესურსი კი სახელმწიფოს არ აქვს.

რაც შეეხება ხორცის გაიაფებას, სტატისტიკამ აჩვენა, რომ სასაკლაოები ხორცს, მაქსიმუმ, 30-50 თეთრით აძვირებს. სასაკლაოზე, როგორც აღვნიშნე, კონტროლის მთელი ჯაჭვი არსებობს, რის შემდეგაც ვეტერინარი ფორმა 2-ს წერს, რაც იმის დასტურია, რომ პირუტყვი სახელმწიფო ვეტერინარის თანდასწრებით დაიკლა და ხორცი უვნებელია...

ნატო გელაშვილი: „ახალი ხელისუფლების კონცერტებზეც ვიმღერებ!“

„მართალია, 26 მაისს კონცერტებზე არ დამიძახეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დამბლოკეს“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

მართალია, ნაციონალების „ფავორიტ“ მომღერლად ითვლებოდა, მაგრამ მსმენელის სიყვარული მაინც არ მოჰკლებია და მიიჩნევს, რომ თუკი რამე ფასეული შეუქმნია, სწორედ ამ სიყვარულის დამსახურებაა... რა ვითარებაა დღეს ქართულ შოუბიზნესში და ახალ ხელისუფლებასაც ჰყავს თუ არა ფავორიტები? — „ვერსია“ კომპოზიტორ და მომღერალ ნატო გელაშვილს ესაუბრა.

— ქართული შოუბიზნესი საერთოდ არ არსებობს, რადგან ის მოთხოვნები, რაც შოუბიზნესს აქვს, ჩვენთან არ სრულდება. სხვა ქვეყნებში მომღერალს პროდიუსერი უგეგმავს რეპეტიციასა თუ კონცერტს, საქართველოში კი ყველაფერზე ზრუნვა თავად გვიწევს. წლების წინ, ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა ამ სფეროს მოწესრიგების მცდელობა — გაერთიანება „არტ იმედიც“ სწორედ ამ მიზნით დააარსა. მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრი არ ვყოფილვარ, ვაღიარებ, ეს საკმაოდ კარგი ინიციატივა იყო, თუმცა აღნიშნული გაერთიანება ბატონი ბადრის სიცოცხლეშივე დაიშალა. ვფიქრობ, ამის მიზეზი ქართველების ამბიციურობა იყო — ყველას პირველობა უნდოდა.

ხელისუფლების ცვლილება ჩემზე არ ასახულა — ჩემი ცხოვრება და შემოქმედება კვლავ სტაბილურია. ერთი პერიოდი, საქართველოში ყველა პოლიტიკაზე იყო გადართული, არც კი ახსოვდათ, თუ ვინმე მღეროდა. იმედი მაქვს, ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა შეიცვლება. ხელოვნება განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ჩვენ კი განტვირთვა ნამდვილად გვჭირდება.

— თუმცა, განტვირთვის ნაცვლად, პირიქით მოხდა — ხელოვნება პოლიტიზირებული გახდა...

— ხელოვნება ისევე აღმოჩნდა პოლიტიზირებული, როგორც ყველა სხვა სფერო. ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვარ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით გამორჩევის წინააღმდეგი. ხელოვანის პოლიტიკაში „გასვრა“ კი ჩემთვის ორმაგად მიუღებელია, რადგან პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, შემოქმედი ადამიანი კი შემოქმედად უნდა დარჩეს. თუ დღეს, როგორც მომღერალი, ვარსებობ, მხოლოდ ხალხის სიყვარულით და არა — რომელიმე პარტიის მხარდაჭერით.

— არადა, ნაციონალური ხელისუფლების ფავორიტად მოიაზრებით...

— არასოდეს, არც ერთი პარტიის ლოგო არ მიტარებია და ახალმა ხელისუფლებამაც რომ დამიძახოს, ახლაც ვიმღერებ. ნაციონალური ხელისუფლების კონცერტებზე ბოლო 4 წელი გამოვდიოდი და ამით არაფერი დამიშავებია — მეძახდნენ და ვმღეროდი.

— რატომ გეძახდნენ სწორედ თქვენ მაშინ, როცა ბევრი მომღერალი „იბლოკებოდა“?

— რომელიმე პარტიის არც მომხრე ვყოფილვარ არც — მოწინააღმდეგე. ყოველთვის ჩემი ნიშა მქონდა — გამაჩნდა მოსაზრება, მაგრამ არასოდეს ვერეოდი პოლიტიკაში, თუმცა ყოველთვის ვაპროტესტებდი, ოპოზიციურად განწყობილ მომღერლებს კონცერტებზე გამოსვლის საშუალებას რომ არ აძლევდნენ. ამიტომ ჩემს კონცერტებზე ხშირად გამოდიოდნენ ოპოზიციურად განწყობილი მომღერლები და მათი პოლიტიკური შეხედულებისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. მართალია, შემდეგ ამ კონცერტებს ტელევიზიები აღარ აშუქებდნენ, მაგრამ ეს უკვე მეორეხარისხოვანია — ჩემთვის მთავარი ჩემი მსმენელია.

— ანუ სათქმელის თქმა სიმღერის საშუალებით გირჩევნიათ?

> **— ჩემი გასაკეთებელი სიმღერით უნდა გავაკეთო და მიტინგებზე სიარული ჩემი საქმე არაა, თუმცა თუ რამე არასწორად გაკეთდება ან თუ ვნახავ, რომ მომღერლები ისევ „იბლოკებიან“, არც ახალ ხელისუფლებას მოვერიდები და აუცილებლად გავაპროტესტებ.**

— „დაბლოკვის“ ტენდენცია შეინიშნება?

— მსგავსი არაფერი მსმენია.

— რატომ არ ჩანდით 26 მაისის ღონისძიებებზე?

— მართალია, 26 მაისს კონცერტებზე არ დამიძახეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დამბლოკეს“.

— რამდენად მნიშვნელოვანია მომღერლისთვის სახელისუფლებო კონცერტზე გამოსვლა?

— შემოქმედებითი თვალსაზრისით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, მაგრამ მომღერლისთვის ნებისმიერი კონცერტი შემოსავლის დამატებითი წყაროა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ვინმეს დავჭირდები, სიამოვნებით დავუდგები გვერდით — საქველმოქმედო კონცერტზეც ვიმღერებ და სახელისუფლებოზეც, რადგან სხვა ქვეყანა არ გამაჩნია და არ მაქვს პოლიტიკური ომის დრო. არასოდეს, არავისთვის მითხოვია, კონცერტში ჩამსვით-მეთქი — თუ ვინმეს გავახსენდები, მადლობელი ვარ, თუ არადა, ჩემი სახელი და გვარი საკმაოდ ბევრმა იცის და მსმენელი ყოველთვის მეყოლება.

— ძირითადად, რომელი თაობის მსმენელი გისმენთ?

— ჩემი აზრით, თითქმის ყველა თაობის მსმენელი მყავს.

— ახალი თაობა უცხოურ ესტრადას უფრო უსმენს და ამ თაობის მომღერლებსაც უცხო ენაზე სიმღერა ურჩევნიათ...

— პრინციპში, ასეცაა — ქართულად მომღერალი მხოლოდ ჩემი თაობაღა დარჩა. გასაგებია, რომ თანამედროვეობას ფეხი უნდა ავუწყოთ, მაგრამ მშობლიურ ენას ყველა ქვეყნის მომღერალი ინარჩუნებს. რუსი მომღერლის უცხო ენაზე ნამღერი გაგიგიათ?! თუ გგონიათ, იმათ შესაძლებლობები არ აქვთ, ან ჩვენ უფრო თანამედროვეები ვართ?! შეიძლება, რუსულ ესტრადზე, მართლაც მღერიან სამაკორდიან სიმღერებს, მაგრამ მღერიან თავის ენაზე. ქართველი მომღერლების დიდ ნაწილს კი, ქართული რეპერტუარიც არ აქვს და სოლოკონცერტის გაკეთება რომ შესთავაზო, მხოლოდ სტინგის, რეი ჩარლზისა და სხვა უცხოელი შემსრულებლების სიმღერებს იმღერებს.

— ყველაფერი ეს კომპოზიტორების ნაკლებობით ხომ არ აიხსნება?

— იმდენი ქართული სიმღერაა, კიდევ ბევრ თაობას ეყოფა და თუ ვინმეს ქართულად უნდა იმღეროს, რეპერტუარის ნაკლებობას ნამდვილად ვერ მოიმიზეზებს. ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდას სიმღერას ერთი კომპოზიტორიც კი არ „დაუჭერს“. არც მე ვეტყვი უარს, ახალგაზრდა მომღერალმა ჩემი რომელიმე სიმღერის რიმეიკი რომ მთხოვოს. მინდა, ახალგაზრდა თაობას ვურჩიო — კარგი ქართული რეპერტუარით დაიმკვიდრონ თავი და მათი შემოქმედება ყოველთვის ღირებული იქნება, თუ არადა, ისინი მხოლოდ „გადამღერებლები“ იქნებიან.

— რუსული ესტრადა ახსენეთ... რუსი მომღერლების საქართველოში ჩამოყვანაზე რას ფიქრობთ?

— ყოველგვარი რადიკალიზმის წინააღმდეგი ვარ. თუ დღეს რუსეთის ხელისუფლება ჩემი მტერია, მომღერალმა რა დააშავა, რატომ არ უნდა ჩამოვიდეს?! მით უმეტეს, რომ რუსეთში ჩვენი უამრავი თანამემამულე მოღვაწეობს.

— წეღან თქვით, რუსულ ესტრადაზე სამაკორდიან სიმღერებს მღერიანო...

— მე არც ქართულს ვუსმენ უხარისხოს და არც — უცხოურს. ქართულ ესტრადაზეცაა სამაკორდიანი სიმღერები და რუსებიც ქმნიან ხარისხიან მუსიკას.

— გჯერათ, რომ ხელოვნებას ორ ქვეყანას შორის დაპირისპირების განელება შეუძლია?

— ხელოვნებას, მართლაც შეუძლია, ორ ქვეყანას შორის დაძაბულ ურთიერთობაში დადებითი მუხტი შეიტანოს. ხელოვანი ხალხი ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებისთვის ყველაზე მისაღები და საყვარელი ფენაა. სწორედ ამიტომაც, უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო ხელოვანი — თუ ორი ადამიანისთვის მაინც ხარ სამაგალითო, უნდა იყო იდეალური. მეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას ჩემი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ყოველთვის ვცდილობ, მათთვის, ვისაც ჩემი სიმღერები უყვარს, სამაგალითო ვიყო!

— ამჟამად რით ხართ დაკავებული?

— ახალ ალბომზე ვმუშაობ... ხანდახან მეკითხებიან, რატომ დაიკარგეო, რაზეც კითხვითვე ვპასუხობ: უფრო აქტიურად როდის ვჩანდი-მეთქი. „ტელევარსკვლავობა“ არ მახასიათებს — ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ხშირად გამოვჩნდები ტელეეკრანზე. მე ვარ ადამიანი, რომელმაც იცის თავისი ადგილი და თავის საქმეს აკეთებს!

აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართეს

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულ სკვერში აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართეს.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია დაესწრო და პატარებს ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღე მიულოცა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების ბავშვთა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. ასევე, მოეწყო ასფალტზე ხატვის კონკურსი და აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. ქველმოქმედების სახით შემოსული თანხა მსოფლიო ბავშვთა ფონდში გადაირიცხება.

საქველმოქმედო კონცერტი აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მხარდაჭერითა და კინოცენტრ „აფხაზეთი და აფხაზეთის“ შემოქმედ ბავშვთა კავშირ „მომავლის ხმის“ ორგანიზებით მოეწყო.

„ინტერპრესნიუსი“

3-7 ივლისს თბილისში მე-7 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ გაიმართება

3-7 ივნისს, თბილისის მერიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, თბილისში მე-7 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ გაიმართება. 5-დღიან ფესტივალს, ტრადიციისამებრ, მისი დამფუძნებელი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გაუწევს ორგანიზებას.

ფესტივალის ფარგლებში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მთავარი საკონკურსო კინოჩვენება გაიმართება. 2013 წლის იანვარში, ფესტივალის დაანონსებიდან 2 თვის განმავლობაში, მიღებული იყო 60-მდე ქვეყნის 200-ზე მეტი ფილმი. სელექციის შედეგად, წელს 36 ქვეყნის 61 სტუდენტური ნამუშევარი შეირჩა საკონკურსო პროგრამისთვის. გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდებიან: საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური მხატვრული ფილმისთვის; საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური დოკუმენტური ფილმისთვის; საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციურ-ექსპერიმენტული ფილმისთვის; ჟიურის სპეციალური პრიზი. ასევე გაიცემა სპეციალური დიპლომები საუკეთესო ხმის, მონტაჟის, ოპერატორის ნამუშევრისთვის — იმ სპეციალობების მიხედვით, რაც ისწავლება მსოფლიოს კინოსკოლებში.

საკონკურსო პროგრამას შეაფასებს საერთაშორისო ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც წელს იქნებიან: კლაუდია მესსემერ — გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის კინოაკადემიის დოცენტი, სცენარისტი; ლესზეკ დავიდი — ახალგაზრდა პოპულარული პოლონელი რეჟისორი ლოძის კინოსკოლიდან; გიულენ ჰარლეი — თურქი კინოხელოვანი მარკეტინგის მიმართულებით; ირინა რომანჩენკო — უკრაინული კინოფესტივალის დამფუძნებელი და გიორგი გვახარია — კინომცოდნე. ჟიურის ყველა წევრი ჩაატარებს მასტერკლასს ან სამუშაო შეხვედრას სტუდენტებისთვის, რაც მათ პროფესიულ განვითარებასა და საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ფესტივალი 3 ივნისს (20:00), თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება. 4 ივნისს ფესტივალს გოეთეს ინსტიტუტი უმასპინძლებს. 5 ივნისს, 20:00 საათზე — ფესტივალის ფარგლებში ექსპერიმენტული საღამო გაიმართება. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები წარმოადგენენ პროექტს „მოდა და კინემატოგრაფი“. ჩვენება უჩვეულო ფორმით გაიმართება და მასში მომავალი მსახიობებიც მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის ექსპერიმენტულობა იმაშიც გამოიხატება, რომ ორი სახელოვნები უმაღლესი სასწავლებლის ერთგვარ შემოქმედებით სინთეზს წარმოადგენს.

2013 წლის გამარჯვებულები ხუთდღიანი ფესტივალის ბოლოს, 7 ივნისს გამოვლინდებიან.

„ჯი-ეიჩ-ენ“

ქვათა მატიანე

ღვთიური საკვირველება

დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი



ვარძია: ცენტრალური მონაკვეთი, თამარის ფრესკა და მთავარი ეკლესიის ერთადერთი ხედი

აგერ უკვე ოთხი დღეა, რაც ვარძიის ქვევით, ჭალაში ვართ დაბანაკებული. ყოველ დილით, თვალს გავახელთ თუ არა, კლდეში ნაკვეთ კომპლექსს შევცქერით, გოგაშენში ამავალი გზის ერთი მონაკვეთიდან მისი საერთო ხედიც გადავიღეთ, მაგრამ უშუალოდ, ქალაქ-მონასტერში ჯერაც არ შევსულვართ. ამ „გულგრილობის“ ერთი მიზეზი ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი მრავალჯერაა აქ ნამყოფი და აღმოსაჩენი არაფერია. მეორე მიზეზი კიდევ უფრო საყურადღებოა: ოცი წლის წინათ, ერთხელ უკვე მაქვს მომზადებული გადაცემა ვარძიაზე და ახლა ერთთავად იმაზე ვფიქრობ, რა კუთხით წარმოვაჩინო ეს ძეგლი.

კომპლექსი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ისეა კლდეში გამოკვეთილი, რომ დილიდანვე მზის გულზეა მოქცეული. ჩვენც მზის ამოსვლას ადგილზე ვხვდებით სრულ მზადყოფნაში.

მუშაობას **ანანაურიდან** ვიწყებთ. ანანაური ვარძიის კომპლექსის დასავლეთი უბანია. იგი ვარძიის სამრეკლომდე გაგრძელებულ ქვაბთა სისტემაა. კლდის ეს სოფელი რომ ვარძიის სამონასტრო ქალაქზე ხანდაზმულია, უეჭველია, მაგრამ როდის ჩაეყარა საფუძველი, ძნელი დასადგენია. ერთი რამ უდავოა — იგი ნელ-ნელა იზრდებოდა. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, ანანაურში ყველაზე შთამბეჭდავი პირველი საცხოვრებელია. ეს არის ორსართულიანი სახლი საბძლით, ბოსლით, საკუჭნაოთი და ა. შ. საცხოვრებელ ქვაბთან ერთად, ანანაურში რამდენიმე ეკლესიაც იყო. უმეტესი მათგანი სანახევროდაც აღარ არის შემონახული. გამონაკლისია XI ს-ის **წმინდა სოფიოს ტაძარი**, რომელსაც სამხრეთის სტოვა ჩამონგრევია. ეკლესიას მოგვიანებით, დასავლეთიდან მიმატებული აქვს საქალაბო. სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო XVI ს-ში, ანუ იმ დროს, როცა ეკლესია ფრესკებით შეამკეს. **ფრესკებში შესრულების სტილით რამდენადმე განსხვავებულია პორტალის მხატვრობა: „ივლიტა“, „სულიწმინდის მოფენა“, „დესუსი“, „მთავარანგელოზები“** და სხვა. აქვე ძნელად იკითხება ასომთავრული წარწერა: **„ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ ამას შინა“.**

ანანაურის საცხოვრებელი ვარძიის კომპლექსში

ვარძიის მონასტერს ჩრდილო-დასავლეთიდანაც ეკვრის მეორე მცირე კლდის სოფელი. ეს არის მიკროხეობაში შეყუჟული **ჭაჭკარი**, რომელიც ახალქალაქის ზეგანზე, სოფელ გოგაშენში ყოფნის დროსაც ვახსენეთ; ვახსენეთ იმიტომ, რომ ჭაჭკარი სწორედ გოგაშნელთა მიერ ათვისებული ხეობაა, სადაც ბაღები აქვთ გაშენებული. ადგილი საბაღედ ჩინებულადაა შერჩეული. იგი სამი მხრიდან მთებითაა შემოფარგლული და მტკარზე ჩამოდის. აქვე მოედინება მოზრდილი ღელე, რომელიც სარწყავად საკმარისია. **არსებობს გადმოცემა, რომ კლდის სოფელ ჭაჭკარში მოწეული ყურძნის მოსავალი არათუ საკმარისი იყო იმ რაოდენობის ღვინის დასაყენებლად, რაც ვარძიის მშენებლებს ჰყოფნოდათ, არამედ გარეთ გასატანადაც რჩებოდა. ჭაჭკარი ამიტომ ჰქვიაო სოფელს, რომ ჭაჭის კარი იყო. ამ ვერსიას ადასტურებს სოფელში ამ დრომდე ჩინებულად შენახული უზარმაზარი საწნახლები.** ჭაჭკარი ოდენ საწნახლებით როდია გამორჩეული, აქ შემორჩენილია რამდენიმე კლდის საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც გოგაშნელთა აგებულ თანამედროვე სახლებს ზედ დაჰყურებს. ერთ-ერთ ასეთ საცხოვრებელს ზუსტად ისეთი გვირგვინიანი დარბაზი აქვს, როგორიც უფლისციხეში გვხვდება. ესეც თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჭაჭკარი ძალიან ძველი ნასოფლარია. აქვეა კლდეში ნაკვეთი, დაახლოებით X საუკუნის, წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ისე ჩამონგრეულა, რომ მხოლოდ საკურთხევლის აფსიდია შემორჩენილი. საკურთხეველში აღსანიშნავია ერთი მცირე სტელა. სწორედ ეს ორი სოფელი: ანანური და ჭაჭკარი აშენებდა დიდებულ ვარძიას XII-XIII საუკუნეებში მთელ საქართველოსთან ერთად.

... საიდან მომდინარეობს ტოპონიმი ვარძია დადგენილი არ არის. **ლეგენდა იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ გამოქვაბულში დაკარგული თამარი მძებნელს გამოეხმაურა „აქა ვარ ძია“-ო, ალბათ, სათვალავში მისაღები არ არის, რადგან ვარძიის მსგავს ტოპონიმებს სხვაგანაც ვხვდებით: ტანძია — ქვემო ქართლში, ალანძია — აქვე, ვარძიიდან 18 კმ-ში. ასევე საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით, ტოპონიმი ვარნეთიც, რომელიც ამ რეგიონში ორჯერ გვხვდება.**

ვარძიის მონასტრის **მთავარი ნაგებობა, რა თქმა უნდა, მისი დიდი ტაძარია (აქ 7 ეკლესია იყო სულ), რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული.** ტაძარი, აგებისთანავე მოუხატავთ. მხატვრის ვინაობას ამ ძეგლის მკვლევარმა გივი გაფრინდაშვილმა საკურთხევლის კონქის ერთ-ერთი ფრესკის კუთხეში მიაგნო. მისი სახელი **გიორგი** ყოფილა, მკვლევარმა თავის დროზე, მიაგნო მხატვრობის დამკვეთის, ქტიტორის ვინაობასაც. ჩრდილოეთ კედლის პირველ ყრუ თაღეთში გამოსახული საერო პიროვნების თავთან არსებული დაზიანებული წარწერის ქიმიური დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ ეს პიროვნება ქართლის მაშინდელი ერისთავი **რატი სურამელი** იყო. წარწერა ასე იქნა წაკითხული: **„ჰოი ღმრთისაო დედაო მიითუალე ჩემ მიერ მონისა შენისა რატი ერისთავთ-ერისთავისა და ქართლის ერისთვისაგან, რომელმან ვიგულსმოდგინე და მოხატვით აღვამკე ესე ტაძარი დიდებისა შენისაი და ნაცვალ მაგე წინაშე ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა დღესა მას საშჯელისასა და ამას სოფელსა შინა ძეთა ჩემთა თანამცველადა და მფარველ მექმენ“**. ამავე ჩრდილოეთ კედლის მეორე ყრუ თაღედში გამოსახული თამარ მეფისა და მამამისის, გიორგი III-ის ფრესკების წარწერებისა და სამოსელის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, თუ როდის მოიხატა ტაძარი, საქმე ის არის, რომ, სხვა ტაძრებში შემონახული თამარის გამოსახულებებისგან განსხვავებით, ვარძიის „თამარს“ არა აქვს საყბეური — გათხოვილი ქალის აუცილებელი ატრიბუტი. მაშასადამე, თამარი ამ დროს გასათხოვარი ყოფილა. გარდა ამისა, თამარის ფრესკასთან არსებულ წარწერაში გამოყენებული მისაგებელი სიტყვა „მრავალჟამიერსცა“ აღარ გვხვდება იქვე არსებულ გიორგი III –ის წარწერაში, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი ამ დროს ცოცხალი აღარაა. **სწორედ ეს ორი გარემოება ადასტურებს რომ ფრესკები 1184-1186 წლებშია შესრულებული.**

ჭაჭკარი: ნაეკლესიარში დარჩენილი სტელა და საცხოვრებელი კომპლექსი

გიორგი ბოჭორიძემ ტაძრის ერთ-ერთ კედელზე სხვა საინტერესო წარწერაც ამოიკითხა: **„ვარძიისა ღვთისმშობელო შეიწყალე იოანე შავთელი“**. ეს, თავისთავად, მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ შავთელმა, როგორც „აბდულმესია“, ისე „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“ სწორედ აქ შექმნა.

ტაძარში სხვადასხვა დროის წარწერებიცაა, რომლებშიც ორჯერ გვხვდება გერმენოზიშვილების გვარი. ეპიგრაფიკული ძიების თვალსაზრისით, საინტერესოა ეკლესიის კარიბჭის არქიტრავის წარწერა, რომელიც მონასტრის სატრაპეზოს ამგებს ათაბაგ ივანე ჯაყელს გვაცნობს: **„ყოვლად წმიდაო ვარძიის ღმრთისმშობელო, ადიდე ორთავე შინა სუფევათა დიდისა ამისა ტრაპეზისა აღმშენებელი პატრონი იოანე, ასუფევე და ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან. ამინ.“** წარწერა შესრულებული უნდა იყოს 1289 წელს, პირველი მიწისძვრის შედეგად დაქცეული მონასტრის აღდგენისას. შესაძლოა, ეს წარწერიანი ქვა თავდაპირველად, სატრაპეზოს კედელში იყო ჩადგმული.

მონასტრის საცხოვრებელი კომპლექსი განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გარშემო. იგი აგებულია თაღოვანი რიგების ჰორიზონტალური განლაგების პრინციპით. მთავარი ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, რაც ვარძიას განასხვავებს სხვა უდაბნო-მონასტრებისგან, სენაკების წინ თაღებით გახსნილი კარაპან-კარიბჭეებია. აღსანიშნავია ისიც, რომ სენაკები ერთმანეთს უკავშირდება როგორც ჰორიზონტალური დერეფნებით, ისე ერდო-ლუკებით. ერუშეთის კლდეში გამოკვეთილი კომპლექსის სიგრძე დაახლოებით 500 მეტრია, აქვს 13 სართული და 500-ზე მეტი ოთახი.

ცნობილია ვარძიის კომპლექსის მშენებლობის 5 ეტაპი: I — X საუკუნე (ანანაურის მონაკვეთი); II — 1156-1184 წლები (ძირითადი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის უმთავრესი პერიოდი); III — 1184-1186 წლები; IV — 1186-1203 წლები (სენაკთა ერთი ნაწილი, თავდაცვითი და საირიგაციო სისტემები); V — 1285-1306 წლები (მიწისძვრით დაზიანებული კომპლექსის აღდგენა).

ვარძია მძიმე დღეთა მოწმეც არის...

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის მღვიმე-მინაშენიდან, სადაც აკლდამაა, ვიწრო გვირაბი და სავენტილაციო ლუკი ტაძრის ზევით არსებულ სამალავში ადის. 1551 წელს, როცა შაჰ-თამაზმა **„შემუსრა ციხენი სამცხისანი, მოაოხრნა ეკლესიანი, შემუსრა ხატნი და ჯვარნი“,** ვარძიის ამ სახიზარში დამალულ 20 ბერს მიაგნო, ჩამოიყვანა და საკურთხევლის წინ აწამა. დამპყრობთა მემატიანე ჰასან ბეგ რუმლუ, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავს ვარძიის სიმდიდრით, იმავდროულად წერს, რომ ვარძიის ეკლესია და ქალაქი **„ღვთის მიერ შექმნილი საკვირველებაა“.**

მშვიდი, აყვავებული და ძლევამოსილი საქართველოს ეპოქაში ვარძია უმეტესად კლდეში იყო შემალული, მისი დიდებული სენაკები და პალატები შიგნიდან ანათებდა, დიდი სულიერებითა და მრწამსით ფეთქავდა. დღევანდელ ვარძიას თითქოს განგებ ჩამოუხსნია პირბადე, რათა დაღამებული თვალებით სულით შეგვძრას, შეგვანჯღრიოს და შეგვახსენოს რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ.

ავტორის ფოტოები

ჰოროსკოპი

3 ივნისი

ვერძი — მაქსიმალურად ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს. თუ ამას შეძლებთ, დღის დარჩენილ მონაკვეთს მშვიდად გაატარებთ, საღამო კი ახლობლებთან ურთიერთობას დაუთმეთ.

კურო — დღეს უნდა იზრუნოთ, რომ გვერდით მცოდნე ადამიანი გყავდეთ, რომელიც მზად იქნება, ნებისმიერ დროს მხარი დაგიჭიროთ. ახლა, შესაძლოა, ცოტა დაბნეული იყოთ და დამოუკიდებლად ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდეთ.

ტყუპები — საკმაოდ რთული დღეა, ემოციური ფონი კი — არასტაბილური, რის გამოც, შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგივიდეთ. ფინანსური მხარეც არ არის სტაბილური.

კირჩხიბი — რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯების შემცირებაც, თუმცა მალე მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. შესაძლოა, ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

ლომი — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება.

ქალწული — დღეს შეხვედრები და დისკუსიები გელით. თქვენს რჩევებს გაითვალისწინებენ გამოცდილი ადამიანებიც, თუმცა ასეთ დროს აჯობებს, თავი შეიკავოთ ამპარტავნული და დამრიგებლური ტონისგან.

სასწორი — არ არის გამორიცხული, სამყარო მოსაწყენი და ნაცრისფერი მოგეჩვენოთ, თუკი აყვებით ემოციებს, დღეს უღიმღამოდ გაატარებთ, ამიტომ გაიმხნევეთ თავი და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

ღრიანკალი — დღეს თქვენგან გადამწყვეტ მოქმედებებს ელიან, გამოიჩინეთ მეტი გამბედაობა და არ დაიხიოთ უკან. პრინციპულობა პროფესიულ წინსვლაში უდავოდ გჭირდებათ.

მშვილდოსანი — დღეს შეგიძლიათ წარმატებას მიაღწიოთ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სფეროში, მაგრამ ამისთვის ყურადღებით უნდა მოეკიდოთ ყველა წვრილმანს.

თხის რქა — დღეს ძალების მოზღვავებას იგრძნობთ, სურვილი გაგიჩნდებათ, კოლეგებსა და მეგობრებს დაეხმაროთ და დასახული მიზნის მისაღწევად სწორი გზა აჩვენოთ.

მერწყული — მერწყულები ახლა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გამყარებით უნდა დაკავდნენ და ამაში საიმედო ადამიანის დელიკატური რჩევა დაგეხმარებათ, ვის აზრსაც არა მხოლოდ თქვენ, არამედ თქვენი პარტნიორიც პატივს სცემს.

თევზები — დღეს იგრძნობთ, მთელი სამყარო ყურადღებით რომ გადევნებთ თვალს. კომპლიმენტი, ქება, თბილი სიტყვები ყოველწამს გესმით გარშემომყოფთაგან.

ჰონდურასში თევზის წვიმა მოდის

ბუნების შთამბეჭდავი მოვლენის — თევზის წვიმის მომსწრე შეიძლება გახდეთ ჰონდურასში. ყოველწლიურად, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, ჰონდურასის თავზე უზარმაზარი შავი ღრუბელი იკვრება, არის საშინელი ელვა და ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი და 2-3 საათის განმავლობაში კოკისპირული წვიმა მოდის. როცა სტიქია წყნარდება და გადაივლის, მიწაზე ათასობით ცოცხალი თევზი ყრია და მას ადგილობრივები აგროვებენ. ეს ფენომენი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ჰონდურასელები, 1998 წლიდან ქალაქ იოროში „თევზის წვიმის" ფესტივალს ატარებენ. დღემდე უცნობია, როგორ ხვდება თევზი ჰაერში. ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, მათ ზღვიდან ჰაერში ძლიერი ქარი აგდებს, ზღვის პროდუქტით გაჯერებული ღრუბელი ქარს ასობით კილომეტრზე გადააქვს, ბოლოს კი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაპირზე თევზის წვიმა მოდის.

ყველაზე ძლიერი გოგონა მსოფლიოში

უკრაინაში, კრივოი როგში დაბადებული ვარვარა აკულოვა ადამიანთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, ვისზეც ცოტა რამ გვსმენია, მიუხედავად იმისა, რომ ატარებს ტიტულს — „სამყაროს ყველაზე ძლიერი გოგონა". ვარია გინესის ორი რეკორდის ავტორია, მან საკუთარ წონაზე 4-ჯერ მეტი ტვირთი აწია. გოგონა ჯერ მხოლოდ ოთხი წლის იყო, როცა ძალოსნობაში ვარჯიში დაიწყო და მისი ასაკისთვის შეუფერებელი წონას „ეთამაშებოდა". ვარიას გვარში ბევრი აღიარებული ძალოსანი ჰყოლიათ და ჩანს, ლეგენდარული წინაპრების გენი მასაც გადმოჰყვა. პირველი რეკორდი გოგონამ 2000 წელს დაამყარა, როცა სულ რაღაც 8 წლის იყო. მან თავს ზემოთ 100 კილოგრამი ასწია, მისი წონა კი სულ რაღაც 40 კილო იყო. 2006 წელს ვარიამ კიდევ ერთხელ აჯობა საკუთარ თავს, როცა საკუთარ წონაზე ოთხჯერ მეტი, 300 კილოგრამი აიტაცა თავს ზემოთ.

პლასტიკურ ოპერაციებს ყველა კიდური შეეწირა

ლოს-ანჯელესის მცხოვრები, 46 წლის ქალბატონი უხელებოდ და უფეხებოდ დარჩა, რადგან იმპლანტანტების ჩადგმის ოპერაციისას მას სხეულში სამშენებლო მასალა შეუყვანეს. ეპრილ ბრაუნი უკმაყოფილო იყო საკუთარი ფიგურით, მას არც მკერდი ჰქონდა და არც ლამაზი საჯდომი. 2004 წელს ერთი თაღლითი გაიცნო, რომელმაც „სილიკონის ინექციებზე" უამბო და ქალმაც ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ორგანიზმში ინექციის შეყვანისთანავე, პაციენტს ძლიერი ალერგიული რეაქცია დაეწყო, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პროცედურის ჩამტარებელს საშუალო სამედიცინო განათლებაც კი არ ჰქონდა. როგორც ქალბატონი ბრაუნი იხსენებს, საჯდომი ქვასავით გაუმაგრდა და გაუშავდა, მაშინვე მიხვდა, რომ სერიოზული პრობლემა შეექმნა და დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართა. კლინიკაში ცხადი გახდა, რომ ქალს სხეულში საყოფაცხოვრებო სილიკონი შეუყვანეს, რომელსაც მშენებლობაში იყენებენ. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, ეპრილი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მაგრამ იმპლანტანტების ამოღებისას ინფექცია განუვითარდა და პაციენტის გადასარჩენად ექიმებმა ხელოვნური კომა გამოიწვიეს, ქალს დუნდულები მოკვეთეს, ხელ-ფეხის ამპუტაციაც გახდა საჭირო... ეპრილი გადარჩა, ხანგრძლივი დეპრესიის შემდეგ პროთეზი მოირგო და სპორტითაც დაკავდა. ახლა უკეთ ვარ, ჩივილს არ ვაპირებ, უბრალოდ მინდა, კიდევ ვიცოცხლო და თავს ვალდებულად მივიჩნევ, გავაფრთხილო ყველა ქალი.

„ვიაგრა" ქალებისთვის

დაახლოებით ორი წლის შემდეგ, გაყიდვაში გამოვა „ვიაგრას" ახალი ვერსია, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის იქნება განკუთვნილი. ის არა მხოლოდ სხეულის, არამედ გონების მასტიმულირებელიც იქნება. პრეპარატის ახალი ვერსიის — „ლიბრიდოს" შექმნაზე ამერიკული კომპანია Emotional Brain მუშაობს. უახლოეს პერიოდში „ვიაგრას" მასშტაბური კლინიკური გამოცდის დაწყება იგეგმება. თუ პრეპარატის ეფექტურობა დადასტურდება, მას აშშ-ში დაარეგისტრირებენ. ამ ეტაპზე ავტორები აბსოლუტური შედეგის გარანტიას იძლევიან. ახალი პრეპარატის შექმნის საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რადგან, სტატისტიკის მიხედვით, ქალების 30%-ზე მეტს დაქვეითებული ლიბიდო აქვს. კაცებისთვის განკუთვნილი „ვიაგრასგან" განსხვავებით, „ლიბრიდო" სრულიად ახალი ტიპის პრეპარატია. ის უფრო ფსიქიატრიული წამალია, რადგან პირველ რიგში, თავის ტვინის იმ ზონაზე ზემოქმედებს, რომელიც ქალის სქესობრივ ლტოლვას უკავშირდება. მის შემადგენლობაში შედის ტესტოსტერონი და ბუსპირონი, რომელიც კმაყოფილებაზე პასუხისმგებელი ჰორმონის — სეროტონინის დონეს ამაღლებს. მსურველმა „ლიბრიდოს" აბები ინტიმური ურთიერთობის დაწყებამდე, ერთი საათით ადრე უნდა მიიღოს. თუმცა, ახალი პრეპარატის მიმართ ყველა არ არის ოპტიმისტურად განწყობილი. მედიკოსებისა და მედიის წარმომადგენლების ნაწილი აღნიშნავს, რომ პრეპარატი მეუღლეებს შორის ღალატსა და შემთხვევითი კავშირების ზრდას გამოიწვევს.

სუდოკუ

ადვილი

	7		8					
	6	5	7		1			9
	3					1		
3	5	4						
		8		3		7		
						3	5	2
		3					6	
6			5		2	8	9	
					4		7	

სტანდარტი

		3				5	9	
					5		7	
			6	8		1		
	6			4			8	
		5	2	9	1	7		
	2			7			5	
		1		2	8			
	3		1					
	7	6				3		

რთული

	5	8			1			
	9	3	8			6		
				2				8
			1			3	5	
8		5				1		9
	1	4			7			
9				1				
		1			3	9	2	
			6			8	4	

ექსპერტი

5		9			4			
		8	2					4
	6				7	5	1	
4			9					
		2		3		8		
					5			2
	9	1	5				4	
7					2	3		
			7			1		5



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	3	2	4	1	9	8	7	6
6	7	4	8	5	3	2	1	9
1	9	8	6	2	7	4	5	3
9	1	7	5	8	6	3	4	2
2	6	5	1	3	4	9	8	7
8	4	3	7	9	2	1	6	5
7	2	1	9	6	8	5	3	4
4	8	9	3	7	5	6	2	1
3	5	6	2	4	1	7	9	8

სტანდარტი

5	6	7	9	1	3	4	2	8
8	4	3	2	7	6	5	1	9
2	1	9	5	8	4	7	6	3
4	5	2	3	9	1	8	7	6
3	9	1	8	6	7	2	5	4
7	8	6	4	5	2	3	9	1
1	7	5	6	4	8	9	3	2
9	3	4	1	2	5	6	8	7
6	2	8	7	3	9	1	4	5

რთული

8	7	9	6	5	4	2	3	1
3	6	5	2	1	9	8	7	4
4	2	1	7	8	3	9	6	5
2	3	4	5	6	1	7	9	8
6	1	8	9	7	2	5	4	3
9	5	7	4	3	8	1	2	6
1	4	3	8	2	7	6	5	9
7	9	6	1	4	5	3	8	2
5	8	2	3	9	6	4	1	7

ექსპერტი

3	2	5	1	6	9	7	8	4
1	8	7	2	5	4	6	3	9
6	4	9	3	8	7	5	2	1
2	5	8	7	4	3	1	9	6
4	3	1	6	9	8	2	7	5
9	7	6	5	2	1	8	4	3
8	1	2	4	3	6	9	5	7
7	9	4	8	1	5	3	6	2
5	6	3	9	7	2	4	1	8

მე-13 გვერდი: 1. დეზდემონა; 2. ალთაი; 3. ალი; 4. აბრუ; 5. მაინ; 6. კვაზიმოდო; 7. მინორი; 8. ნაბადი; 9. ოუენი; 10. ელვა; 11. კამბალა; 12. ნობელი; 13. ირიგაცია; 14. რვალი; 15. დო; 16. იუდა; 17. რედიარდ კიპლინგი; 18. გურგულია; 19. სუფლიორი; 20. ვირი; 21. დევი; 22. არკა; 23. შკივი; 24. აპარტეიდი; 25. ალხასტაისძე; 26. ოსვალდი; 27. ორდალია; 28. დოტაცია; 29. ლორი; 30. ლისი; 31. სკალპი; 32. პალაცო; 33. სილი; 34. პრიმა; 35. ოსტერია; 36. ალქიმია; 37. ათლეტიზმი; 38. იორი; 39. ხილარი; 40. ასა; 41. კვახი; 42. იანიკ; 43. არეტა; 44. ნავახო; 45. დისტილაცია; 46. პიცა; 47. ეთილი; 48. გრო; 49. სოფა; 50. ფილაქანი; 51. „ნატო“; 52. სენაკი; 53. იბლისი; 54. სმიტი; 55. საფარი; 56. დენი; 57. ანისული; 58. „იოლი“; 59. ჭია; 60. ალამი; 61. ცილა; 62. მჭლე; 63. რესი; 64. სტანიცა; 65. „კალიფსო“; 66. პაიკი; 67. ზრო; 68. ძოლა; 69. რკო; 70. „კია“; 71. ფა; 72. მეგრე; 73. აკრა; 74. არს; 75. ჭკა; 76. ბუ; 77. გოა; 78. სიუ; 79. რაი; 80. ომიკრონი; 81. ბოისე; 82. იერიში; 83. ასო.

გაჩერებული გულით ბავშვი გააჩინა

აშშ-ს მისურის შტატში მცხოვრებმა, 32 წლის პედაგოგმა ერიკა მიგრელიმ ბავშვი იმ დროს გააჩინა, როცა გული უკვე გაჩერებული ჰქონდა. ქალს მშობიარობამდე სამი კვირა ჰქონდა დარჩენილი, როცა სკოლაში მოულოდნელად თავი შეუძლოდ იგრძნო. საბედნიეროდ, იმავე სკოლაში მუშაობს მისი მეუღლე ნათანიც. როცა იატაკზე დავარდნილი ქალი დაინახა, რომელსაც პირიდან ქაფი გადმოსდიოდა, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, შეეცადა პირველადი დახმარების აღმოჩენას — მეუღლეს გულის მასაჟსა და ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. მედიკოსებმა ბავშვის გადარჩენა საკეისრო კვეთის წყალობით შეძლეს და გაოცებულები დარჩნენ, როცა პატარა ცოცხალი და სრულიად ჯანმრთელი ამოიყვანეს.

ბავშვი მაშინ მოევლინა ქვეყანას, როცა დედის გული არც ფეთქავდა და მისი გადარჩენის იმედი არ გვქონდა, — იხსენებს ერთ-ერთი ექიმი... თუმცა მოხდა კიდევ ერთი სასწაული — მოულოდნელად, პაციენტის გული ამუშავდა და ქალმა სუნთქვა დაიწყო. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა — ერიკა მოკვდა, ბიჭი გააჩინა და გაცოცხლდა, — ამბობს ბედნიერი ნათანი, — როცა პატარა გაიზრდება, ამ სასწაულის შესახებ აუცილებლად ვუამბობთ.

1. მტკნარი წყლის დელფინი
2. ქვეყნის ნაწილი
3. გერმანიის იმპერატორთა ტიტული
4. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა
5.ცხენოსნობის მასწავლებელი
6. სხვების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის უნარი
7. მფრთხალი, შეუჩვეველი საქონელი
8. სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილი
9.პორეულის სალეწი ძველისძველი იარაღი
10.გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
11. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი
12. ნირი, ხასიათი
13. სამკარედიანი ხატი
14.გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
15. აღ. მაკედონელის აღმზრდელი ფილოსოფოსი
16. ბარსელონას საოპერო თეატრი
17.წყლიანი ადგილი უდაბნოში
18.მაუგლის მეგობარი პითონი
19.იგივეა, რაც წლოვანება
20.იეზუიტთა ორდენის დამფუძნებელი და პირველი მამამთავარი
21. ოთახი მატარებლის ვაგონში
22. მზის ამოსვლა
23. ძველებური თოფი
24. კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი
25. დაკოდილი ცხენი
26.იაპონური ორთაბრძოლა
27.ყინულის ქოხი
28.იტალიის საფეხბურთო კლუბი
29. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
30. სპარსეთის ახლანდელი სახელწოდება
31. წყნარი ამინდი ზღვაზე
32. აფრიკული მაგია
33.რუსების საბრძოლო ყიჟინა
34.მოთმინებით ცნობილი ბიბლიური პერსონაჟი
35. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
36. პატარა საწნახელი
37.აღმოსავლური ფლეიტა
38.ჩეხური საავტომობილო კომპანია
39. ვაზის ავადმყოფობა, ნაცარი
40. მეწაღე „მარადისობის კანონში“
41. ცენტრალური აზიის უმთავრესი მდინარე
42. ქართული ანბანის V ასო
43. უეცარი შიში
44. დიდი მუწუკი
45. ბიბლიური წინასწარმეტყველი
46. „თავისუფლების კუნძული“
47.მდინარე დასავლეთ საქართველოში
48.დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
49. საზოგადოების რჩეული ნაწილი
50.მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი
51. ყინული - ინგლისურად
52.ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული
53. ზღვის პატარა ყურე
54.სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიაში
55. იაპონელთა ეროვნული სპორტი
56. საახალწლო ტკბილეული
57.ფსოუსა და ბზიფის წყალგამყოფი მასივი
58. ორგანიზაციის საქმიანობის შემოწმება
59. „ნათლიას“ რეჟისორი
60. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
61. მდინარე იტალიაში
62.ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
63. ჩოგბურთელი ... სამპრასი
64. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი
65. რუსული ჯიში
66. აფრიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი
67. მწერალი ედგარ ... პო
68. მობილური ტელეფონების მარკა
69. ფელინის ფილმების კომპოზიტორი
70. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
71.ნადირობის რომაელი ქალღმერთი
72. ...-ვეგასი
73. აბრეშუმის ქსოვილი
74. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული
75. ქართული ანბანის მე-17 ასო
76. სასახლის გალავანში შესასვლელი
77. H_2O
78.ჩხირები, რომელსაც იაპონელები ხმარობენ ჭამისას
79. ინდონეზიის საკურორტო კუნძული
80. მტაცებელი ცხოველი, ე. წ. ველის ფოცხვერი
81. ქალაქი, სადაც კალიფორნიის უნივერსიტეტი მდებარეობს
82. სოფელი ონის რაიონში
83. ფრანგი კინომსახიობი ემანუელ ...
84. კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი
85. მწერალი ... როულინგი
86. პატარა შალაშინი
87. მდინარის დატოტვილი შესართავი
88. ფრანგი მხატვარი-გრაფიკოსი
89. სიმძიმეთა ასაწევი მექანიზმი

ყველაზე ბედნიერები ავსტრალიელები არიან

უკვე მესამე წელია, „მწვანე კონტინენტის“ მაცხოვრებლები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერებად დასახელდნენ. კვლევაში, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ჩაატარა, მსოფლიოს 30-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობდა. კრიტერიუმები მოსახლეობის შემოსავლის დონით, ჯანმრთელობის მდგომარეობით, უსაფრთხოებითა და საცხოვრებელი პირობებით განისაზღვრა. საერთო ეკონომიკური სიძლიერით, ავსტრალიამ Better Life Index-ში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო საუკეთესოთა ხუთეულში შევიდნენ შვედეთი, კანადა, ნორვეგია და შვეიცარია. სტატისტიკური მონაცემებით, ავსტრალიის 23-მილიონიანი მოსახლეობის 73%-ს, მაღალანაზღაურებადი სამსახური აქვს, ქვეყნის ეკონომიკა, უკვე ორი ათეული წელია, ზემოთ მიიწევს და ამ ქვეყანას 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი არ შეხებია.

ჰოროსკოპი
4 ივნისი

ვერძი — ვერძებს დღეს განწყობას ბავშვები აუმაღლებენ. ზღაპრების ჯადოსნური სამყარო და მხიარული თამაშები გაგიტაცებთ და თავს ბავშვად იგრძნობთ.

კურო — დღეს შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც ცხოვრების ახალ ეტაპზე გადაგიყვანთ. მაგრამ არც სიფრთხილე დაივიწყოთ.

ტყუპები — დღეს ტყუპების ინტერესი მიმართული იქნება ფინანსური პრობლემების მოგვარებისკენ, რაშიც სანდო ადამიანის დახმარება აუცილებლად დაგჭირდებათ.

კირჩხიბი — არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად — ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს.

ლომი — ლომებისთვის სასარგებლო იქნება ძველ მეგობრებთან შეხვედრა. მოგონებები განწყობას შეგირბილებთ და გარშემომყოფებისადმი უფრო ლოიალური გახდებით.

ქალწული — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა, არც ისინი გიღალატებენ, ვისი იმედიც გაქვთ.

სასწორი — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ, კონფლიქტები მოაგვაროთ და შეურიგდებით ადამიანს, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია და ნებისმიერი საქმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ.

ღრიანკალი — ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დააბანდოთ. შეგიძლიათ გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ.

მშვილდოსანი — დღეს შეგიძლიათ, საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, არავინ დაიხმაროთ და ყველაფერი თავად მოაგვაროთ. სულაც არ არის აუცილებელი, რაიმე გრანდიოზულს მიადგეთ. სასიკეთოა ფინანსური სურათიც.

თხის რქა —ვარსკვლავები არ გირჩევენ დღის გატარებას დიდ კამპანიაში ან მასობრივ ღონისძიებაზე დასწრებას, რადგან იქ მხოლოდ მოიწყენთ. სჯობს, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეთ და სამომავლო გეგმები დასახოთ.

მერწყული — შესაძლოა, დღეს უსიამოვნო ისტორიაში გაეხვიოთ. იყავით უფრო ყურადღებიანი, რადგან არაა გამორიცხული, ტყუილისა და ინტრიგების მსხვერპლი გახდეთ.

თევზები — დღეს ვითარება მოითხოვს სწრაფი და არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებას. ერთ წამს შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდით და ბედს უნდა შეურიგდეთ, მაგრამ კარგად უნდა დაფიქრდით და გამოსავალსაც ადვილად იპოვით.

სანკტ-პეტერბურგი — ყველაზე სექსუალური ქალაქი

პოპულარული ბრიტანული გამოცემის The Times კვლევების მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალაქი სანკტ-პეტერბურგია. გაზეთის გამოკითხვებში მონაწილეობა 30 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო 20-ზე მეტი ქვეყნიდან. ამ „ჩრდილოეთის ვენეციის“ ღირსებებს შორის რესპოდენტებმა გასართობი დაწესებულებების რაოდენობა, ადგილობრივების კეთილგანწყობა და თავისუფლება დაასახელეს. ნახსენები იყო ასევე, პეტერბურგში ცოტა ხნის წინ გახსნილი ეროტიკის მუზეუმიც. გამოცემის მიერ შედგენილ პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალაქების რეიტინგში, ლიდერთა სამეულში მოხვდნენ ასევე „თავისუფლების კუნძულის“ დედაქალაქი ჰავანა და რომი, რომლისკენაც „ყველა გზა მიდის“.

ქალები ვადაგასულ კოსმეტიკას მოიხმარენ

მიუხედავად იმისა, რომ ვადაგასული კოსმეტიკური საშუალებები კანის პრობლემებს იწვევს, სუსტი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა მას მაინც მოიხმარს. დებენჰემის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ ქალების 57,75 პროცენტის კოსმეტიკურ ჩანთებში სწორედ ვადაგასული კოსმეტიკა ინახება. მართალია, გადაგდება ენანებათ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ასეთი საშუალების მოხმარებამ, შესაძლოა, კანზე გამონაყარი და თვალის ინფექცია გამოიწვიოს. სწავლულთა თქმით, გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მანდილოსნების 73%-მა საკუთარი კოსმეტიკის ვარგისიანობის ვადა არც კი იცის. მშვენიერი სქესის ერთი მესამედი თვალის ვადაგასულ ლაინერს იყენებს, 22% წელიწადზე მეტხანს ინახავს ტონალურ კრემს, 7% კი — თვალის ჩრდილს 6 წელზე მეტხანს მაშინ, როცა მათი შენახვის ვადა 12 თვეა. სპეციალისტების აზრით, კოსმეტიკურ საშუალებებზე ეკონომია ქალებს ძვირი უჯდებათ, რადგან კანის პრობლემებთან საბრძოლველად, მერე უფრო მეტს ხარჯავენ.

ასპირინი სიბრმავეს იწვევს?

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, ვინც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად დგებიან თვალის დაავადების — ბადურას ასაკობრივი დეგენერაციის წინაშე, რომელიც საბოლოოდ სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის, დაახლოებით, ერთი პროცენტი ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში, საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში მათ ამ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდა. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ პრეპარატის მკურნალობა არ იწვევს მსგავს საფრთხეს.

ბრილიანტი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ერთ-ერთი უდიდესი ბრილიანტი მსოფლიოში, ჰონგკონგში, „კრისტის“ აუქციონზე, რეკორდულ ფასად — 11 მილიონ დოლარად გაიყიდა. ვაჭრობაზე წარმოდგენილი იყო 75,36-კარატიანი ბრიოლეტი (წვეთის ფორმის მქონე ძვირფასი ქვა), რომელიც უმსხვილეს, უფერო ბრილიანტად ითვლება. ბრიოლეტებს განსაკუთრებული ღირებულება იმის გამო ენიჭება, რომ დამუშავებისას განსაკუთრებით დიდი ზომის ალმასებია საჭირო, რაც საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ამ ბრილიანტის „მასალის“ — ალმასის წონაც 160,5 კარატი იყო, დაწახნაგება კი ცნობილმა ამერიკელმა იუველირმა უილიამ გოლდბერგმა შეასრულა.



სუდოკუ

ადვილი

						8	3	
	2			9				4
				5	8		9	
3		4			5	9	1	
		6	9		4	2		
	9	5	8			4		3
	5		6	1				
1				7			6	
	3	7						

სტანდარტი

	8	5		1			3	
		1		5				
	7		4			5		8
		9	3			7		
	6			2			5	
		7			9	2		
6		8			4		7	
				6		9		
	9			7		8	4	

რთული

		8	5	7				
	7				3			
		4			9			7
5		1		3	8		7	
	4						9	
	9		4	5		6		1
4			7			8		
			6				5	
				9	1	4		

ექსპერტი

	3				4			
4	8					7		
1		7	2					3
				3	7		9	
	2		4		5		3	
	6		1	9				
8					3	2		1
		4					8	7
			8				6	

მეტროს მეზავრებს ალკოჰოლზე შეამოწმებენ

რუსეთის დედაქალაქში, მეტროპოლიტენის მგზავრებს ალკოჰოლის ტესტზე შეამოწმებენ. მოსკოვის მეტროს ათობით სადგურის სამედიცინო პუნქტებისთვის ახალ დიაგნოსტიკურ აღჭურვილობას, მათ შორის, ალკოჰოლის ტესტებს შეიძენენ. როგორც პაციენტთა დაცვის ლიგის პრეზიდენტი სავერსკი მიიჩნევს, ასეთი ინოვაცია სამართალდამცავების მუშაობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და საზოგადოებას არაადეკვატურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის აგრესიისგან დაიცავენ. აქ ძალისმიერი მეთოდები, კერძოდ, იძულებითი დიაგნოსტიკა დასაშვებია. ზოგიერთები ალკოჰოლზე შემოწმების იდეას ადამიანის უფლებების დარღვევად მიიჩნევენ. გაუგებარია, რის საფუძველზე უნდა გააჩერონ ადამიანები და მეტროში არ შეუშვან. ეს მათი უფლებების დარღვევაა, — ამბობს მოსკოვის საქალაქო დუმის ერთ-ერთი დეპუტატი.



ქორწილის დღეს ბეჭედი შეგახსენებთ

გამჭრიახმა გამომგონებლებმა განსაკუთრებული ბეჭედი შექმნეს, რომელიც გულმავიწყ ქმარს ქორწინების თარიღს შეახსენებს — თარიღამდე ერთი დღით ადრე, ბეჭედი ყოველ 10 წამში ერთხელ ცხელდება, ტემპერატურა ნელ-ნელა იმატებს და ღამის 50 გრადუსამდე ადის. შედეგად, მამაკაცი აუცილებლად გაიხსენებს, რომ მნიშვნელოვანი თარიღი ახლოვდება. ამ უჩვეულო ბეჭდის ღირებულება 760 დოლარია.

მაგიდა-პლანშეტი შექმნეს

კალიფორნიულმა ფირმამ Mozayo, ავეჯისა და მაღალი ტექნოლოგიების შერწყმა შეძლო. სენსორული ხის მაგიდა, რომელშიც 32-იანი ან 42-დიუმიანი მონიტორია ჩამონტაჟებული, სახლის კომპიუტერის სრულფასოვანი შემცვლელია, თუმცა, ამავდროულად, პირდაპირ დანიშნულებასაც ასრულებს და თამამად შეგიძლიათ, ყავისა და ჟურნალების მაგიდად გამოიყენოთ, რომელიც უძლებს ჟურნალ-გაზეთების, წიგნების წონას, ასევე მასზე შეგიძლიათ, დადგათ ფინჯანი ცხელი სასმელით, რადგან ზედაპირი თერმოგამძლეა და არ იმსხვრევა. მაგიდა-პლანშეტს საკმაოდ მძლავრი პროცესორი აქვს, 6-გიგაბაიტიანი ოპერატიული და 500 გიგაბაიტი მყარი მეხსიერებით. ინტერნეტში შესასვლელად უსადენო Bluetooth კავშირს იყენებს, აქვს Wi-Fi-ც, USB-პორტებიც და Ethernet-ის ქსელური რუკაც. ავტორები აცხადებენ, რომ შექმნილი აქვთ, Mozayo-მაგიდის უფრო ძლიერი ვერსიაც. რაც შეეხება ფასს, ის ჯერჯერობით უცნობია.

უპატრონი ძაღლმა „ხატვა" დაიწყო

ამერიკელი წყვილის, ბრიუს და ჯენიფერ ჰანდერსონების ძაღლი, სახელად არბორი განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა — ხატავს და მისი ნამუშევრები 300 გირვანქა სტერლინგად იყიდება. ჰანდერსონებმა ლას-ვეგასში, ქუჩაში მოხეტიალე ძაღლი იპოვეს, შეეცოდათ და შეიფარეს. მოგვიანებით კი, ისე მიეჩვივნენ, რომ ცხოველი მათი ოჯახის სრულუფლებიან წევრად იქცა, მაგრამ წყვილი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, მაწანწალა ძაღლი „მხატვარი" გახდებოდა. როცა მეგობრებს ვეუბნებოდი, რომ არბორი ხატავდა, ეგონათ, შევიშალე. იძულებული გავხდი, ისინი სახლში მომეწვია და საკუთარი თვალით ენახათ ფუნჯს კბილებით ჩაბღაუჭებული ძაღლი, — ამბობს ბრიუსი. გაყიდული ნახატებით შემოსულ თანხას, „შემოქმედი" ძაღლის პატრონები ჩრდილოეთ კაროლინას ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ორგანიზაციას ურიცხავენ.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

კლიენტებს კანაფის მაიონებს სთავაზობენ

ჰოლანდიაში, კაფეების ქსელში Manneken-ის მომხმარებელს კანაფის მაიონეზს შესთავაზებენ. პროდუქტი მენიუში სოუსის რანგში გაჩნდება, კარტოფილი-ფრის შესაკმაზად. ქსელის მფლობელები აცხადებენ, რომ მაიონეზი იქნება კანაფის აქტიური ძირითადი ნივთიერების — ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველი და ამის გამო ადამიანზე ფსიქოტროპულ ზემოქმედებას ვერ მოახდენს. „ნარკოტიკული მაიონეზის“ შექმნის იდეა კაფეს მფლობელს გაუჩნდა, რადგან მეზობლად, ერთ-ერთი კოფეშოპიდან მარიხუანას სუნი გამოდის. ნიდერლანდებში მარიხუანა და სხვა კანაბინოიდები აკრძალულია, თუმცა კოფეშოპებისთვის გამონაკლისი არსებობს: მათ აქვთ უფლება, ხუთ გრამამდე კანაფი მიყიდონ ერთ კლიენტს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.